# საერთო გაზეთი

№22 (614)
ოთხშაბათი
16 ივნისი,
2021წ.
ფასი 1.50 ლ.


## გზა მომავლისკენ



საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს განსაკუთრებული მადლობა სომხეთისგან, აზერბაიჯანისგან, ამერიკის შეერთებული შტატებისგან და, რა თქმა უნდა, საქართველოსგან!

**იგორ კვესელავა:**

## ქართველი ერი უნდა გაერთიანდეს და ყველაფერს ეშველება

ბიძინა ივანიშვილმა ტაძრისკენ მიმავალი გზა ეკალ-ბარდებისგან კი გაწმინდა, მაგრამ ტაძარში არ შეგვიშვეს



**საქართველო პოლიტიკურად კი არ ერთიანდება - იშლება, იგივე მეორდება, რაც გამსახურდიას დროს იყო. ვინ წერს ამ სცენარს, ვინ ახორციელებს და ბოლოსდაბოლოს, საით მივდივართ?**

## გადამტრიალებლები

● ჩვენ უკვე გადატრიალების შუა ფაზაში ვიმყოფებით და ამ საქმეს არაფერი ეშველება, თუ ჩვენი გადატრიალების მოსურნენი იქით არ გადავატრიალეთ.

● ხშირად ამბობენ, საქართველო ილიას გზით მიდისო. ტყუილია ეს – საქართველო ილიას გზით კი არა, ირაკლი წერეთლის გზით მიდის.









## ვინ არის და საიდან მოხვდა გიორგი გახარია ამ „გაუგებრობაში"?!




გამოიწერთ გახარიას? ჩამოგივათ რომელიმე ხოჯევანიშვილი!

## საქართველომ უნდა გაიმარჯვოს – სააკაშვილი და სააკაშვილიზმი უნდა დამთავრდეს!

### აფერისტების ტრიო და საუკუნის აფიორა





ოტო ფონ ბისმარკი – დიპლომატი, რეფორმატორი და მორფინის მოყვარული დუელიანტი

### ქართული ფეხბურთის რაინდი



**„საერთო გაზეთი" – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის**

## რედაქტორის სვეტი



— მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 20 წლის შემდეგ კატაკომბებში აღმოაჩინეს ჯარისკაცი, რომელსაც ეგონა, რომ ომი არ დამთავრებულა და სრულ საბრძოლო აღჭურვილობაში ჩამჯდარი მეთაურის ბრძანებას ელოდა, თუ როგორ ემოქმედა.

ვინ არ არწმუნებდა ჯარისკაცს, ვინ არ უხსნიდა, რომ ომი დამთავრდა, თანაც დამთავრდა ოცი წლის წინათ, მაგრამ არაფერმა არ გაჭრა, სანამ ჯარისკაცის მეთაური არ მოძებნეს და სანამ იმან არ დაარწმუნა, რომ ომი ნამდვილად დამთავრდა.

ჩემს ამჟამინდელ სიტუაციას რომ ვაკვირდები, მეც იმ ჯარისკაცის მდგომარეობაში ვარ — ვიღაც-ვიღაცები მარწმუნებენ, რომ ჩემმა დივიზიამ — „ქართულმა ოცნებამ“, ომი დაასრულა, მე კი ეს არ მჯერა და ისევ ვაგრძელებ ბრძოლას და ამ ბრძოლას არც შევწყვეტ, სანამ მეთაური არ მოვა და არ მეტყვის, რომ ომი მართლაც დამთავრდა. რას მეტყვი, როგორ მოვიქცე? — მითხრა „ქართული ოცნების“ ერთმა ვეტერანმა მხარდამჭერმა, რომელიც მთელი ცხოვრება საქართველოსთვის იბრძოდა, ახლა კი, ამ არეულ-დარეული პოლიტიკის გამო გზა-კვალი აერია და დაიბნა.

რა უნდა გითხრა, ვეტერანო, მეც შენს დღეში ვარ და შენ რა უნდა გითხრა?!

ერთი რამ დანამდვილებით ვიცი: შეიძლება ცალკეულმა პარტიებმა თუ პოლიტიკოსებმა მართლაც შეწყვიტონ ბრძოლა, მაგრამ შენისთანების ომი არასოდეს დამთავრდება, რადგან შენ არც ძალაუფლებისთვის იბრძვი, არც ქონების მოსახვეჭად, არც პარლამენტში მოსახვედრად — შენ საქართველოსთვის იბრძვი და სანამ პირში სული გიდგას, ამ ბრძოლას ვერ შეწყვეტ.

ეს შენი ბედისწერაა!

ეს შენი განაჩენია!

ასე რომ, იბრძოლე, ჯარისკაცო, იომე, ჯარისკაცო, ნურავის ბრძანებას ნუ დაელოდები, ნურც იმათ დაუჯერებ, ვინც გარწმუნებს, რომ ომი დამთავრდა და შენს ბრძოლას აზრი არ აქვს.

ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, მაშინაც კი, როცა ეს ბრძოლა წაგებისთვის არის განწირული.

ვზივარ მაგიდასთან და „საერთო გაზეთის“ ძველ ნომრებს ვფურცლავ.

გაზეთის ფურცლები კი არა, ნამდვილი ბრძოლის ველია, თორმეტი წლის მანძილზე გაშლილ-გადაფენილი ბრძოლის ველი.

— მართლაც რამდენი გვიომია ჩვენ, საწყლებს... — ამბობს რედაქციის ვეტერანი თანამშრომელი, — რამდენი გვიომია და რისთვის?!

უხერხული კითხვების დასმა ვერ მოვაშლევინე ამ ქალბატონს — გაივლის, გამოივლის და ისეთ კითხვას დაგისვამს, პასუხს რომ ვერ გასცემ...

# გზა მომავლისკენ

**საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს განსაკუთრებული მადლობა სომხეთისგან, აზერბაიჯანისგან, ამერიკის შეერთებული შტატებისგან და, რა თქმა უნდა, საქართველოსგან!**







**ენტონი ბლინკენი, აშშ სახელმწიფო მდივანი:** „მადლობელი ვართ საქართველოს მთავრობის, მის მიერ მხარეტა შორის დისკუსიის ფარგლებში შუამავლის უმნიშვნელოვანესი როლის შესრულებისათვის. ამგვარი ნაბიჯები რეგიონის ხალხებს უფრო აახლოებს მშვიდობიან მომავალთან, რომელსაც ისინი იმსახურებენ“.

**აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტრო:** „ვაფასებთ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მეთაურობით საქართველოს მხარდაჭერას ამ ჰუმანიტარული აქტის განხორციელებაში“.

**ნიკოლ პაშინიანი: სომხეთის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი:** „ირაკლი ღარიბაშვილის ჩართულობით, ქართველი ძმებისა და ევროპელი პარტნიორების წყალობით ჩვენი 15 მოქალაქე სომხეთში ბრუნდება“.

**ირაკლი ღარიბაშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი:** „ვამაყობ საქართველოს როლით, რომელიც შევასრულეთ ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელ ფილიპ რიკერთან ერთად მჭიდრო კოორდინაციით, აზერბაიჯანის მიერ კონფლიქტის დროს დაკავებული სომხეთის 15 მოქალაქის გათავისუფლების ხელშესაწყობად.

სომხური მხარის მიერ აზერბაიჯანული მხარისთვის მასალების გადაცემა დანაღმული ტერიტორიების შესახებ მნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩვენს რეგიონში უსაფრთხოების გარემოს გასაუმჯობესებლად“.

გასული კვირა, შეიძლება, არა მარტო საქართველოსთვის, არამედ, მთელი კავკასიის რეგიონისთვის გადამწყვეტი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენად და ამ რეგიონის განვითარების ახალ ეტაპად იქცეს.

სასიხარულო და საამაყოა, რომ სწორედ საქართველო მოგვევლინა იმ ეპიცენტრად, რომლის გარშემოც შეიძლება განვითარდეს და გაიშალოს სამი კავკასიური სახელმწიფოს მრავალმხრივი პარტნიორული ურთიერთობის იდეა.

**როგორც მხარეები აღნიშნავენ, სომხეთ-აზერბაიჯანს შორის მიღწეულ სამშვიდობო შეთანხმებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა ირაკლი ღარიბაშვილმა, რომლის უშუალო მედიაციით შესაძლებელი გახდა, საომარ მდგომარეობაში მყოფ ორ მეზობელ სახელმწიფოს ერთმანეთისკენ შემხვედრი ნაბიჯები გადაედგათ.**

ვისარგებლებ შემთხვევით და აქვე ვიტყვი: მართალია, ირაკლი ღარიბაშვილი ყოველთვის გამოირჩეოდა ნიჭიერებით და პოლიტიკოსისთვის აუცილებელი მრავალი დადებითი ნიშან-თვისებით, თუმცა პრემიერის პოსტზე მეორედ დაბრუნებული ირაკლი ღარიბაშვილი უკვე მაღალი რანგის, ნამდვილ პროფესიონალ პოლიტიკოსად ჩამოყალიბებულ პიროვნებად მოგვევლინა.

უპირველეს ყოვლისა, სწორედ მისი დამსახურებაა ეს მედიაცია წარმატებით რომ დასრულდა, რასაც, იმედია, ახალი სასიკეთო გაგრძელებები მოჰყვება.

რა უდიდესი მნიშვნელობა და რა საოცარი პერსპექტივები აქვს სამი კავკასიური სახელმწიფოს — საქართველოს, აზერვაიჯანის, სომხეთის შეთანხმებულ, კოორდინირებულ მოქმედებას, ეს ძალიან ვრცელი და ძალიან სერიოზული თემაა და შევეცდებით, ამ თემის გარშემო „საერთო გაზეთის“ მომდევნო ნომრებში ვისაუბროთ. ახლა კი იმის თქმით დავკმაყოფილდეთ, რომ საქართველოს თავისი გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური ფუნქციით შანსი აქვს, კვლავ იქცეს კავკასიის რეგიონის ლიდერ სახელმწიფოდ, რასაც ირაკლი ღარიბაშვილმა უკვე ჩაუყარა მტკიცე საძირკველი, საძირკველი, რომელზეც შეიძლება კავკასიის რეგიონის დიდებული მომავალი დაშენდეს.

წარმატებები ვუსურვოთ სამივე კავკასიურ სახელმწიფოს, საქართველოს პრემიერს კი განსაკუთრებული მადლობა სომხეთისგან, აზერბაიჯანისგან, ამერიკის შეერთებული შტატებისგან და, რა თქმა უნდა, საქართველოსგან!

**ვახტანგ ხარჩილავა**



# საქართველომ უნდა გაიმარჯვოს – სააკაშვილი და სააკაშვილიზმი უნდა დამთავრდეს!

მართლაც სამწუხაროა, რომ, ამდენი წლების მერე მაინც წარსულზე, ანუ სააკაშვილზე და მის მავნებელ პირმშოზე — „ნაცმოძრაობაზე“ გვიწევს საუბარი.

ოპონენტები ამბობენ: ისინი კვლავაც რომ ცოცხლობენ, მოქმედი ხელისუფლების ბრალი და დამსახურებაა, მათ არ გააქრეს ჩვენი რეალობიდან ნაცები და მათი ბელადი მიხეილ სააკაშვილიო.

მიხეილ სააკაშვილი 2012 წლის არჩევნებში „ნაცმოძრაობის“ დამარცხების შემდეგ ქვეყნიდან გაიქცა — ის აქედან არავის გაუძევებია, მეტიც, თუ ხელისუფლებაზე მიდგება საქმე, სააკაშვილს და მის პარტიას მთავრობა კოჰაბიტაციაზეც კი დათანხმდა და მათთან თანამშრომლობაც კი გადაწყვიტეს.

სააკაშვილი როგორ მოიქცეოდა, თავად რომ ყოფილიყო „ქართული ოცნების“ ადგილზე, ამის განსაზღვრას თქვენს დიდებულ ფანტაზიას მივანდობ. მე კი გეტყვით: მიშას რომ კუდი არ ეწვოდეს, აქედან არ წავიდოდა, „უსამართლოდ“ ციხეში ჩასმის შემთხვევაში კი, თუ ასეთი რამ მოხდებოდა, მას და მის ამფსონებს, იმდენი საერთაშორისო მხარდამჭერი ჰყავთ, გზებს აატალახებდნენ — უდანაშაულო პრეზიდენტი ჰყავთ ქართველებს ციხეშიო და გამოიყვანდნენ მიშას, რომელიც წამებულის გვირგვინით დაიწყებდა მერე ყელმოღერებას.



მაგრამ მიშა მაინც გაიქცა.

ახლა კი, ეს არამყარი ფსიქიკის, თავშეუკავებელი პოლიტიკური ცხოველი საქართველოში ჩამოსვლას ლამობს.

რა მოჰყვება ამას ქართველი ხალხისგან, ეს ცალკე საკითხია.

დღევანდელი რეალობა კი ის არის, რომ სააკაშვილს აქ ელოდებიან მისი გონებაარეული მომხრეები და მერკანტილური ინტერესებით გაბერილი ქვეყნის მოღალატე სექტანტები, რომლებიც მიშაც ჩამოსვლას ცის გახსნად მიიჩნევენ და თავიანთი გაჩენის ყოველ დღეს წყევლიან, მიშას გარეშე გათენებულს.

ასეთ რამეებს რომ ვუყურებ და ვისმენ, თან გული მტკივა, თან ვბრაზდები, თან ეს უგუნურება მანცვიფრებს და ბიბლიური ლოტის ისტორია მახსენდება: ლოტი ცეცხლმოდებული ქალაქიდან ცოლ-შვილთან ერთად რომ გარბოდა და ოჯახს რომ უთხრა: უკან, ანუ წარსულისკენ არ მიიხედოთ, თორემ უბედურება დაგვემართებაო. კი გახსოვს, ცოლმა რომ უკან მიიხედა და იქვე გაქვავდა.

ახლა მე რწმენაზე არ ვლაპარაკობ და ეს, ისტორია, შეიძლება, ათეისტს ზღაპრადაც მოეჩვენოს, მაგრამ წარსულისკენ მუდმივი ყურება ერთი ადგილის ტკეპნას, განვითარების შეფერხებას და ბოლოს კვდომას რომ ნიშნავს, ლოტის ცოლის ისტორიაცაა ამის კარგი დასტური და დამამტკიცებელი.

ნათქვამია: ყველას თავისი სიმართლე აქვსო და წყლის ნაყვაა „მიშისტებთან“ კამათი, ამიტომ, თუ ვიტყვით, რომ ყველას თავისი სიმართლე აქვს, ისიც უნდა დავძინოთ, რომ სიმართლე მაინც ერთადერთია.

რამდენი ვერსიაც არ უნდა არსებობდეს, სიმართლე არის ის, რომ მიხეილ სააკაშვილი ამ ქვეყნის წარსულია უკვე 2012 წლიდან და ეს არის არა კონკრეტულად „ქართული ოცნების“, არამედ ქართველი ხალხის დამსახურება და დროის მყარი კანონზომიერება.

ძალიანაც რომ უნდოდეს ვინმეს, დრო გაჩერდეს და მიშა მუდმივი მბრძანებელი იყოს ამ ქვეყანაში, ეს ვერ მოხდება, დროს მიაქვს და დროს მოაქვს ყველაფერი და ამ დროს თუ არ აჰყვა ერი, სახელმწიფო ან ადამიანი, ბავშვივით მოტლინკავე ზრდასრულს დაემსგავსება, რომელიც, დაღუპვას თუ გადაურჩა, სახუმარო და სამარცხვინო მდგომარეობაში აუცილებლად აღმოჩნდება...

ტელე-ხუმარა, იუმორისტი ნიკოლოზ არაბიძე იყო თურმე სტუმრად სააკაშვილთან და რამდენიმე დღის წინ ტვ „ფორმულამ“ აჩვენა ეს ჩანაწერი.

ეს რომ მიშიკოს დაკვეთა იყო, ცალკე საკითხია, მაგრამ ძნელი საყურებელი ის იყო, ეს ჭაღარა კაცი — ნიკოლოზ არაბიძე მთელი ცხოვრება ტინგიცობით რომ აქვს ლუკმა-პური ნაშოვნი, ჰა..ჰა...ჰმ...ჰმ-ო, ისე ჩაიხვიხვინებდა მიშიკოს წინაშე, შეგენეცალე მიშაო, ლამის ეს უნდოდა, რომ ეთქვა, თან გაოჩნებული ჯაგლაგი ცხენივით იქნევდა თავს და კრეჭდა და კრეჭდა კბილებს...

არათუ ლაბილური ფსიქიკის, არამედ ნორმალური ადამიანიც გაგიჟდება ამის შემყურე.

დიდი ეჭვი მაქვს, ვიღაც მავნებელი სპეციალურად ძებნის მორალურად გახრწნილ ადამიანებს და ცხვირწინ გვიტრიალებს, რომ ჩვენც დავეცეთ...

— მთელი საქართველო თქვენ გელოდებათ, ბატონო მიხეილ, — შესციცინებდა თვალებში ერთი არაკაცი — არაბიძე, მეორე არაკაცს — მიხეილს: — ჩვენი ლიდერი ხარო. მიხეილ-თავხედი კი: ყველაფერი კარგად იქნებაო, ჩემს მომხრეებს სიურპრიზს გიმზადებთო...

სიურპრიზზე გამახსენდა, სააკაშვილის ძველი „პადელნიკი“ გიორგი სიგუაც ჰპირდებოდა თანამოძმეებს, სიურპრიზად, ჯერ მიშასთან ერთად სარფიდან საქართველოში შემოსვლას — „ეშმაკსაც შევეკვრები, ოღონდ „ქართული ოცნება“ დავამარცხოო“, მე და მიშიკო მოულოდნელად მოვალთო, მაგრამ ეს „სიურპრიზი“ რომ არ გამოუვიდა, სხვა „სიურპრიზს“ დაჰპირდა ქართველ ახალგაზრდებს — ბიჭებო და გოგოებო, კარტახენაში ზღაპრული ვილები გელოდებათ, ქართულ ჯემ-ფესტზე უკეთესი გულავი და Unloading-იო და ფრთები რომ ჰქონდა აწყობილი ზოგიერთს კარტახენაში გასაფრენად, ეს ავანტურისტი, ექს-პრეზიდენტის ყოფილი ძმაკაცი სწორედ სიურპრიზად დააკავა ესპანეთის პოლიციამ არეულობის მოწყობის ბრალდებით და 50 წლით აუკრძალა ქვეყანაში შესვლა...




მოკლედ, ესეც ჩავლილი ამბავია და აღარ გავაგრძელებ.

მრავალჯერ დაწერილა და თქმულა სააკაშვილზე და „ნაცმოძრაობაზე“ ცუდიც, კარგიც. თავად მიშა კი თავის მოღვაწეობას ასე აფასებდა: „როცა მეკითხებიან (შენი პრეზიდენტობისას – ი.კ.), რა მოხდა ყველაზე მთავარი საქართველოშიო, ჩემი პირველი პასუხია: სოციალური ტრანსფორმაცია, ტრანსფორმაცია, რომელსაც ემყარება დამოუკიდებლობაც, დემოკრატიაც და ყველა სახელმწიფოებრივი ღირებულებაცო“.

ხედავთ, რაზე აპელირებს ექსპრეზიდენტი? ის ამაყობს, რომ შეძლო საზოგადოების ტრანსფორმაცია, ადამიანების შეხედულებების ცვლა და ამ შეხედულებათა გაუკუღმართება. კერძოდ, მან შეცვალა საბავშვო ბაღების, სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, მეცნიერებათა აკადემიების მწყობრი შეხედულებები და წესრიგი არა პროგრესის მიმართულებით, არამედ, უარესობისკენ.

შედეგად მივიღეთ ცნობიერება-



არეული საზოგადოება, მომავალი თაობები და ლგბტ თემების ჰეგემონიზაცია. აი, ეს მიაჩნდა და მიაჩნია მას სოციალურ, ანუ საზოგადოებრივი აზროვნების ცვლილებად და ტრანსფორმაციად. სინამდვილეში, პირდაპირ რომ ვთქვათ, ეს იყო მისი იდეოლოგიური დივერსია და მიზანი, რასაც, სამწუხაროდ, დაემორჩილა დიდი ეროვნული აფეთქებით თავბრუდახვეული და მერე საშინელ 90-იანებგამოვლილი ქართული საზოგადოება...

ამის გამკეთებელო კაცი იქაჩება კვლავ საქართველოში ჩამოსასვლელად — დრო გავიდა და ჭრილობები მოუშუშდებოდა საქართველოსო, დაავიწყდებოდა ჩემი სადიზმი და ზნეწამხდარობაო.

აქ კი, როგორც ზემოთაც ვთქვი, მას მართლაც ელოდებიან.

ელოდებიან სხვადასხვა მიზეზით და მიზნით, ზოგი შურისძიებისთვის, ზოგი — მისი გამოსწორების იმედით, ზოგს ისე, უბრალოდ, გაუცნობიერებლად ენატრება მიშიკო.

მის მომლოდინეთა შორის არიან: ის 30000-მდე თურქი, რომლებსაც, მან და ლევან ვარშალომიძემ, საქართველოს მოქალაქეობა უბოძეს, ისინი, რომლებსაც ბათუმში მოლას გალობა და თბილისში თურქული უბნები მოწონს.

ელოდებიან ისინი, რომლებმაც ადამიანები — თანამოქალაქეები, თანამემამულეები, თანასოფლელები, ძმები და ძმაკაცები ციხეებში აწამეს და 350000 პატიმარი უმძიმეს პირობებში ამყოფეს, ადამიანებს ყაჩაღურად წაართვეს წლობით ნაგროვები ქონება, ისინი, რომელთა წაქეზებითაც მოკლეს თავიანთი თანამებრძოლი ზურაბ ჟვანია, ქუჩაში დახვრიტეს გურამ შარაძე. ხალხს ეჭვი აქვს, რომ მათ მოკლეს რამაზ კლიმიაშვილი, ბადრი პატარკაციშვილი და სხვები...

მიშას დაბრუნება უხარიათ მათ, რომელთა ფიზიკური თუ მორალური მხარდაჭერით, ე.წ. „მშვიდობიანობის“ დროს, სააკაშვილის ხელისუფლებამ ქუჩაში დახვრიტა 400-მდე ახალგაზრდა, ჭაობში ჩაახრჩვეს ცინდელიანი, სასტიკად ამოჟლიტეს აფრასიძეები...

და კიდევ, მიშას ჩამოსვლას ელოდება არა სრულიად საქართველო, არამედ ელოდებიან გამყიდველი, კოჰაბიტირებული თუ პორტირებული დეპუტატები, მინისტრები, ჩინოვნიკები, ლგბტ თემის ლატენტური და აშკარა მხარდამჭერები და რამდენიმე გონებაშეზღუდული პირი...

„ნაცმოძრაობის“ წევრს და პარტიის სახეს ხატია დეკანოიძეს უთქვამს, დადგება დრო, ჩვენ, ნაციონალები, ისტორიის ნათელ მხარეს აღმოვჩნდებითო.

ეს რომელი მხარეა, ქალბატონო ხატია: — სულხან მოლაშვილი მთელი წელიწადი რომ აწამეს, იმ მხარეს, სერგო თეთრაძეს რომ სული ამოჰხადეს, იმ მხარეს, ციხის საკნებში კაცები რომ ბღაოდნენ, იმ მხარეს თუ რომელ მხარეს — გირგვლიანის და რობაქიძის მხარეს? პროკურატურის ფანჯრებიდან „ნებაყოფლობით“ რომ ხტებოდნენ ადამიანები, იმ მხარეს თუ ჩემი მეზობლის 23 წლის ბიჭის გული ცხინვალის ომში ბუზებმა და მატლებმა რომ გამოჭამეს, იმ მხარეს?!

მე არ ვარ ლელა კაკულია, მით უმეტეს, არც ვანგა და არც არანაირი წინასწარმეტყველი, უბრალო მოქალაქე ვარ, რომელსაც მყარად სჯერა, რომ საქართველო, როგორც იონა ვეშაპის მუცლიდან, არ დაიღუპება, გადარჩება და გააღწევს სამშვიდობოს, რადგან სააკაშვილები, ნაციონალები და სხვა ნეობოლშევიკები, სულ რომ გასკდნენ, არიან ჩვენი ქვეყნის წარსული.

სააკაშვილი და სააკაშვილიზმი უნდა დამთავრდეს.

საქართველომ უნდა გაიმარჯვოს და ამას ვერ გააკეთებს ვერც „ოცნება“ და ვერც — ვერც ერთი ლიდერი. ეს ქართველმა ხალხმა უნდა გააკეთოს და, დიდი იმედი მაქვს, რომ საქართველო ამას შეძლებს!

**ირანდა კალანდაძე**
59 56 11 18

# ქართველი ერი უნდა გაერთიანდეს და ყველაფერს ეშველება

## ბიძინა ივანიშვილმა ტაძრისკენ მიმავალი გზა ეკალ-ბარდებისგან კი გაწმინდა, მაგრამ ტაძარში არ შეგვიშვეს



*„საერთო გაზეთის“ სტუმარია ანალიტიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ИГОР*

*იგორ კვესელავა:*

**— ბატონო იგორ, საქართველოს დამოუკიდებლობიდან 30 წელი გავიდა. დღეს, რა რეალობაში გვიწევს ცხოვრება, როგორ შეაფასებთ, 90-იანი წლებიდან დღემდე განვლილ გზას?**

— ამ თემაზე საუბარი საბჭოთა კავშირის დაშლიდან — 1990–91 წლებიდან უნდა დავიწყოთ. თუმცა, აქვე გეტყვით, რომ „პერესტროიკა“ არც გორბაჩოვის და არც შევარდნაძის მოგონილია, არამედ ეს პროცესი სტალინის პერიოდიდან იღებს სათავეს. მან, თავდაპირველად, პარტიის



როლის შესუსტება დაიწყო. სტალინმა განაცხადა, რომ გადადგა, მაგრამ მისი ძველი გვარდია ამის წინააღმდეგ წავიდა. ამის შემდეგ, კვლავ დადგა საბჭოთა კავშირის რეორგანიზაციის საკითხი. მაშინ, ანდროპოვი და სხვანი ამბობდნენ: საბჭოთა კავშირი უნდა იყოს, მაგრამ განახლებული ფორმით, სადაც ნაკლები რესპუბლიკები იქნებაო. მაგალითად, მათ ამ რესპუბლიკებში მოაზრებული არ ჰქონდათ სომხეთი, ყირგიზეთი და ა.შ. „პერესტროიკა“ საშინაო თუ საგარეო მიზეზების გამო დაჩქარდა. რა როლი ითამაშა ამერიკამ, ამ საკითხზე სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. მოკლედ, გორბაჩოვამდეც მოვედით. ისმის კითხვა: ვინ არის გორბაჩოვი, ვინ არის შევარდნაძე? — ეს ის ადამიანები გახლავთ, რომლებიც დასავლურ იდეოლოგიასთან, პოლიტიკასთან იყვნენ დაკავშირებულნი. დასავლეთის კარნახით, ზემოხსენებული, პროცესი დაიწყო. აქვე, ერთ საინტერესო ფაქტს გეტყვით: მე, მაშინდელი უშიშროების ანალიტიკური სამმართველოს უფროსს გიორგი ფიფიას ვიცნობდი. იგი გენერალი გახლდათ. შევარდნაძე მას ვერ იტანდა, რადგან იგი საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნად მოიაზრებოდა. ფიფია საქართველოში სიგუამ ჩამოიყვანა, შევარდნაძემ კი თავის ჩამოსვლისთანავე, აქედან გააგდო. ანდროპოვს 70-იან წლებშივე ჰქონდა საბჭოთა კავშირის დაშლის პროექტი, რაც სულ სხვაგვარად უნდა წარმართულიყო. მისი პროგნოზით, ეს, დაახლოებით, 2005 წლისთვის უნდა მომხდარიყო. აქვე, იყო პრიმაკოვიც. საბოლოოდ, გორბაჩოვის ხელისუფლებაში მოსვლა, სწორედ, მათ უკავშირდება. სწორედ ამ პერიოდში ერთი მხრივ, ეკონომიკურმა მდგომარეობამ, მეორე მხრივ, შეიარაღებამ, რაც ბოროტების იმპერიის ავტორის რეიგანის მიერ იყო შემოგდებული და მესამე მხრივ, ეროვნულმა მოძრაობამ განაპირობა ის შედეგი, რაც მივიღეთ — საბჭოთა კავშირის უცაბედი დაშლა და დანგრევა, რასაც ბუნებრივია, აშშ ხელმძღვანელობდა. საჭირო იყო ცვლილებები, რაც ამერიკის გარეშე არ ხორციელდებოდა. ყველა დიდი მიტინგი, გნებავთ, 9 აპრილი კონტროლდებოდა როგორც რუსეთის, ისე ამერიკის მხრიდანაც. ზვიად გამსახურდიას ამერიკის კონგრესში მხარს უჭერდნენ. წარმოიდგინეთ, მას, მოსკოვიც, გორბაჩოვიც უჭერდა მხარს. იგი დიდი პოლიტიკური მოღვაწე გახლდათ, რომელსაც კავშირი ჰქონდა სოლჟენიცინთან და სახაროვთან. სახაროვმა განაცხადა: საქართველო სამხრეთ-ოსეთსა და აფხაზეთთან მიმართებაში, იმპერიააო. სახაროვი



საბჭოთა კავშირის დაშლის წინააღმდეგი არ იყო, არამედ მას ერთიანობის შენარჩუნება უნდოდა. აქ, უკვე, მოდის მოძრაობა, რომელიც სამწუხაროდ, ორ — დასავლურ და აღმოსავლურ ნაწილად გაიყო. სწორედ, ამან წარმოშვა ის დაპირისპირება, რაც საქართველოში მოხდა. შევარდნაძეს, ჩვენს ქვეყანაში, ხელისუფლებაში მოსვლა სურდა. აქვე, ერთ, საინტერესო ინფორმაციას მოგაწვდით: 9 აპრილი 1988 წლის ნოემბერში უნდა ყოფილიყო. ეს შევარდნაძის მოწყობილი იყო, რადგან მან, უკვე, იცოდა, რომ საბჭოთა კავშირი დაინგრეოდა. ამიტომ, მისი საბოლოო გზა საქართველოში ჩამოსვლა იყო. როგორც ყველა ცეკას მდივანი, შემდეგ, ისიც პრეზიდენტი გახდა. მის წინააღმდეგ შემდეგი კოზირი მუშაობდა — ჯუმბერ პატიაშვილი ეროვნული, ავტორიტეტული პიროვნება იყო. საჭირო გახდა მისი ჩამოცილება და დისკრედიტაცია. მეორე, ასევე, საჭირო იყო ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაცია, გამსახურდიას ჩამოცილება. მესამე, დასავლეთის მითითებით, მას კომუნისტური პარტიის დისკრედიტაციაც უნდა მოეხდინა. ამას ისახავდა მიზნად 9 აპრილის გეგმა, რაც როგორც აღვნიშნე, 1988 წლის ნოემბერში უნდა განხორციელებულიყო. თქვენ, იცით, რომ ნოემბერში დიდი მიტინგი გაიმართა, მაგრამ ეს გეგმა ვერ განხორციელდა და მიზნის მიღწევა 9 აპრილს მოხერხდა. მასში მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი გორბაჩოვი, რომელმაც ტანკების შემოსვლის ბრძანება გასცა. ეს უფლება, მხოლოდ, მას ჰქონდა. ბუნებრივია, ამ ყველაფერში მონაწილეობდა შევარდნაძეც, მას თავისი ინტერესები ჰქონდა. 9 აპრილმა, ერთი მხრივ, კომუნისტური პარტიის და მეორე მხრივ, პატიაშვილის დისკრედიტაცია მოახდინა, მაგრამ ეროვნულ მოძრაობასთან მიმართებაში, ამის გაკეთება ვერ შეძლო მიუხედავად იმისა, რომ ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და სხვები დაიჭირეს. ვფიქრობ, რომ არა 9 აპრილი, ეროვნული მოძრაობა, შეიძლება, ხელისუფლებაში ვერც მოსულიყო. 9 აპრილმა, მას, გზა გაუხსნა. ეროვნული მოძრაობის შეჩერება შეუძლებელი იყო და ხელისუფლებაშიც მოვიდა. ბუნებრივია, მოვლენების ასეთი განვითარება შევარდნაძისთვის მიუღებელი იყო, თუმცა, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლას გორბაჩოვი მიესალმებოდა. ეს მოსკოვის გარეშე, ვერც მოხდებოდა. კრემლის, გორბაჩოვის მითითებით, კომუნისტურ პარტიას, არჩევნების დროს, არ უნდა ექტიურა. დიახ, არჩევნებში, რომელიც 9 აპრილის მერე ჩატარდა, კომუნისტებს არ უნდა გაემარჯვათ და ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ



არ წასულიყვნენ. ეს იყო დასავლეთის და იმ პერიოდის „პერესტროიკის“ ლიდერების პროექტი. ეროვნულ მოძრაობას ამერიკაც მიესალმებოდა. ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდია მოვიდა. ზვიადი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კონცეფციის მატარებელი გახლდათ. იგი რელიგიას და სარწმუნოებას პოლიტიკას უკავშირებდა. ეროვნული საკითხი, აუცილებლად, უნდა იყოს გადაბმული პოლიტიკასთან და რელიგიასთან — ასე მიაჩნდა მას. თუმცა, ეს მიუღებელი იყო, განსაკუთრებით, ინტელიგენციისთვის. მათ სარგებელი უნდა ენახათ, რაც შევარდნაძის მოსვლის პირობებში ექნებოდათ. სხვათა შორის, გამსახურდიას მოსვლას შევარდნაძემაც დაუჭირა მხარი, თუმცა, მისი აზრით, ზვიადს ხელისუფლებიდან წასვლა გადატრიალების გზით მოუწევდა. ასე, რომ ეს გეგმა ჩაფიქრებული იყო — ზვიადი გადატრიალების გზით დაემხოთ იმიტომ, რომ გამსახურდიას დასავლეთი მხარს არ დაუჭერდა. ამ პერიოდში გამოგზავნეს ნიქსონი, რათა მას გამსახურდიას აზრი გაეგო — ანუ, თანახმა იყო თუ არა, რომ მისი მფარველი ამერიკა ყოფილიყო და არა რუსეთი. რა თქმა უნდა, გამსახურდიამ უარი განაცხადა. მას ასეთი მოსაზრება ჰქონდა: არც კაპიტალიზმი, არც სოციალიზმი. ამიტომ, ბუნებრივია, ნიქსონს არ მისცა იმის პირობა, რომ დასავლეთის გზით წავიდოდა. მეორე მხრივ, იგი არც რუსეთს აძლევდა პირობას, რომ იმის გზით ივლიდა. ამ ვითარებაში, რა თქმა უნდა, ამერიკისთვისაც და რუსეთისთვისაც, გამსახურდია მიუღებელი აღმოჩნდა. ამის მიზეზი შემდეგი გახლდათ: საქართველოს პრეზიდენტად მოდიოდა პირი, რომელსაც მიესალმებოდა ელცინი, აშშ, ევროპა, ბეიკერი, გენშერი და ა.შ. გამსახურდიას ხელისუფლების დამხობაში ჩარეული იყო არამარტო შიდა ძალები, არამედ დასავლეთის სახელმწიფოები, ევროპა, აშშ და რუსეთიც. ამიტომ მოხდა გადატრიალება, თორემ, ზვიად გამსახურდია სახალხო პრეზიდენტი გახლდათ. ის მიიჩნევდა, რომ მას ხალხი დაიცავდა. მისი თეზა, ხომ იცით: დაე, მათ ტყვიები გვესროლონ, ჩვენ კი ყვავილები ვესროლოთო. მოგვიანებით, იგი მიხვდა, რომ ეს შეცდომა იყო. სიგუას ჩემთან აქვს ნათქვამი: ზვიადს უნდა დავეპატიმრებინეთ და ყველაფერი დამთავრდებოდაო.



**— თქვენ, ახლა, პირველი პრეზიდენტის ხელისუფლების დამხობაზე ისაუბრეთ, რასაც სამართლებრივ-პოლიტიკური შეფასება დღემდე არ მისცემია.**

— დიახ, საქმეც ამაშია — სამხედრო, კრიმინალური გადატრიალება მოხდა და სწორედ აქედან იწყება ჩვენი ქვეყნის უბედურებაც. 30 წელია ვცდილობთ მოსეს გზით ვიაროთ და ამას ვერ მივაღწიეთ. საქართველო განვითარებადი ქვეყანაა და დემოკრატიაც მისი შესატყვისი უნდა ჰქონდეს და არა ისეთი როგორიც განვითარებულ ქვეყნებშია. ჩვენთან, საჭიროა მოწესრიგებული დემოკრატია და თავისუფლება. როცა ეს მოწესრიგებული არ არის, მაშინ დემოკრატია არის გზა ქაოსისკენ, რაც მივიღეთ კიდეც და ახლაც გვაქვს. ბოლო 30 წლის განმავლობაში რამდენიმე ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ რა გააკეთეს? — ზვიად გამსახურდია ხელისუფლებაში მოვიდა, წინა ხელისუფლების ყველაფერი უარყო და ქვეყნის შენება ნულიდან დაიწყო. ასე მოიქცა ყველა მომდევნო ხელისუფალი. მათ წინა ხელისუფლების მემკვიდრეობა არ მიიღეს. ამიტომ, ჩვენ, სახელმწიფოებრიობის განცდა არ გვაქვს. ეს 5 საუკუნის მანძილზე ასეა. დავითის და თამარის შემდეგ საქართველო ერთიანი არ ყოფილა. დგება საკითხი: ვისი სამართალმემკვიდრე იყო საქართველოს პირველი რესპუბლიკა? ხომ არ შეიძლება ცალ-ცალკე სამეფოების — კახეთის ან იმერეთის მემკვიდრე ყოფილიყო? საქართველო გახლავთ სწორედ დავითის და თამარის მემკვიდრე — ანუ, ერთიანი საქართველოსი, სადაც არის სახელმწიფოებრიობის განცდა, მაგრამ ჩვენ ეს ვერ შევინარჩუნეთ. ამის მერე, 5 საუკუნეა სახელმწიფოებრიობის განცდა არ გვაქვს. ეს განცდა გაჩნდა პირველი რესპუბლიკის დროს. თქვენ, იცით, რომ თბილისის აღებისთვის ორჯონიკიძემ ორდენი მიიღო. ოქროს ორდენს აწერია: ორჯონიკიძეს თბილისის აღებისთვის. მსგავსი რამ მსოფლიო პოლიტიკურ სინამდვილეში არ არსებობს. აქვე, ერთი საინტერესო მომენტი: როცა რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობაზე ვსაუბრობთ, მხოლოდ ერთ — აგვისტოს ომზე ვამახვილებთ ყურადღებას. სინამდვილეში რუსეთსა და საქართველოს შორის იყო ხუთი ომი, აქედან, ოთხი სახელმწიფო გა-



დატრიალება. პირველი — რუსეთმა ქართლ-კახეთი 1799 წლის დეკემბერში და არა 1801 წელს მიიერთა და სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა. მეორე — იმერეთის უკავშირდება. 1805–10 წლების ომი, რაც ასევე, სახელმწიფო გადატრიალებით, სოლომონის დატყვევებით დამთავრდა. მესამე — 1820წელს დაწყებული ომი, რომელიც 1824 წელს დამთავრდა. აქაც, გადატრიალება მოხდა — ეროვნული ხელისუფლება გაუშვეს და ბოლშევიკები მოიყვანეს. მეოთხე — ეს გახლავთ ზვიად გამსახურდიას პერიოდი, 1991–93 წლები, რა დროსაც მოხდა აფხაზეთის დაკარგვა და სახელმწიფო გადატრიალება, როცა ზვიადს, უცხო ჯარის დახმარებით, რუსეთუმე ძალები ჩაენაცვლა. მეხუთე — ეს გახლავთ 2008 წლის აგვისტოს ომი, მაგრამ აქ, უკვე, გადატრიალება ვერ მოხდა. და აი, ცოტა შორიდან კი მოვუარე, მაგრამ მივედით თქვენი კითვის არსთან — სწორედ სახელმწიფო გადატრიალებასთან, რომლის შეფასება ქართულმა სახელმწიფომ, ვერცერთმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო. ამ მოვლენას არ მივეცით პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება. შედეგად, 30 წელია ერთიდაიმავე მდგომარეობაში ვართ — ერი გახლეჩილია, საქართველოში ერთპარტიული სისტემაა და ა.შ. გამსახურდიას ხელისუფლების დამხობას შეფასება თუ არ მიეცა, სხვაგვარად, ეროვნულ სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ. რაც მთავარია, შეფასება არ მიეცა, თავად, გამსახურდიას სიკვდილს. არადა, ფაქტობრივად, საქმე გამოძიებულია. მალე გამოვა ჩემი 1800 გვერდიანი წიგნი, სადაც აღწერილი მაქვს, ეს როგორ მოხდა, ვინ იყო დაინტერესებული და ა.შ. გამსახურდიას დამხობის პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება თუ მოხდებოდა, მაშინ აქ, ხალხი უნდა დაეპატიმრებინათ, მათ შორის, შევარდნაძეც. სააკაშვილის დროს, ეს საქმე გამოიძიეს, მაგრამ მერე, აშშ-დან, შევარდნაძის ხელშეუხებლობის შესახებ, ზარი განხორციელდა. რუსეთმა და აშშ-მ მიშას ხელშეუხებლობა მოსთხოვეს. სწორედ ამიტომ, ვერ მოხდა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის სამართლებრივ-პოლიტიკური შეფასება.

**— კანონიერი გზით არჩეული ხელისუფლება დაამხეს, მასთან ერთად დამოუკიდებლობაც, რამაც დღევანდელ დღემდე მოგვიყვანა — საქართველო შარლ მიშელის დოკუმენტით იმართება, ეს კი ძალიან ჰგავს ანექსიას...**

— დიდი მადლობა, ამ შეკითხვისთვის. სამწუხაროდ, მთელი ჩვენი განვლილი ისტორია, მუდმივად, ვიღაცასთან ყოფნაა. რომელი ერთი ჩამოვთვალო — სპარსული, ირანული, ბიზანტიური, არაბული, მონღოლური, ოსმალური, რუსული, გერმანული თუ იმპერიული. გამსახურდია ამბობდა: ჩვენ, უნდა ვითანამშრომლოთ ყველასთან, მაგრამ ცალსახად, არც რუსეთს მივებათ, არც ამერიკას და არც დასავლეთსო. ცალსახად მიბმა რას ნიშნავს? — ჩვენ, საუკუნეების მანძილზე ბალანსირების პოლიტიკა ავირჩიეთ. აქედან, ყველაზე ცუდი ფორმა — გზა დიდი მფარველის ძებნის. ეს ტრადიცია, პოლიტიკური ქცევის წესი დამკვიდრდა და ისეთ მდგომარეობაში ვართ, თითქოს, მფარველის გარეშე ვერ ვივარგეთ. იქამდე მივედით, რომ ევროპასთან ურთიერთობები დავკარდეთ. ჩვენ, პირდაპირი, მჭიდრო ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობები არ გვაქვს არც გერმანიასთან, არც იტალიასთან, არც ესპანეთთან და არც საფრანგეთთან. ასეთი ურთიერთობა გვაქვს, მხოლოდ, ევროკავშირთან, მაგრამ ვინ არის იგი? — ევროკავშირი არის იგივე გაერთიანება, კონგლომერატი, რაც საბჭოთა კავშირი იყო. საბჭოთა კავშირის მსგავსად, პროცესი დაიძრა — დიდი ბრიტანეთი, უკვე, გამოვიდა ევროკავშირიდან, ასევე, უნგრეთი, საბერძნეთი აყენებენ საკითხს, რომ მათ ბრიუსელიდან კარნახი მობეზრდათ. როგორც ჩვენ, მოსკოვის კარნახი და დიქტატი მოგვბეზრდა. ამიტომ, მიმაჩნია, რომ ეს არის კონგლომერატი სხვადასხვა პოლიტიკის, ეროვნებისა და სარწმუნოების. ევროპამ ვერ მოასწრო საქართველოს ხელში დაჭერა, რაც ამერიკამ წარმატებით გააკეთა. ჩვენ, ვხედავთ, რომ საქართველო ევროპის თვალსაწიერში არ არის. როგორც კი მისი ევროპის თვალსაწიერში შესვლა დაიწყო და მიშელის დოკუმენტი გაჩნდა, ამერიკაც გააქტიურდა. როგორ შეიძლება, ჩვენ, ევროპის რომელიმე წარმომადგენელს ვეკითხებოდეთ: როგორი უნდა იყოს ჩვენი ქვეყანა, როგორ უნდა ვმართოთ, როგორი უნდა იყოს ჩვენი პოლიტიკა, არჩევნები და ა.შ. ამას სხვას ვეკითხებით, ევროპა ქართველებს — ამ უზარმაზარი კულტურის ერს, ჭკუას გვარიგებს. ახლა, ვახსენე: როგორც კი ევროპა ამ მიმართულებით გააქტიურდა, აშშ-მ მაშინვე საშიშროება იგრძნო. იმიტომ, რომ თათი საქართველოზე ამერიკას აქვს დადებული. სამხრეთკავკასია განაწილებულია, ერთი მხრივ, ამერიკის, მეორე მხრივ, რუსეთის მიერ. ამერიკელები, აქ, ერთი კვირის წინ ჩამოვიდნენ. მათ არ უნდათ, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით, ევროპამ აქ წელი გაიმაგროს. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება — ჩვენს ქვეყანას თავად უნდა მივხედოთ. ებრაული გამოთქმაა: ის კი არ არის მთავარი, დასავლეთი და აშშ რას იტყვის ისრაელზე, საქმე ისაა, რას იტყვის, თავად ებრაელი ხალხიო. ასევე, უნდა იყოს საქართველოც. ეს არის მთავარი, თორემ, რომელიმე სენატორი, რომელიც ლობისტურ კამპანიაშია ჩართული, რას იტყვის, ეს მნიშვნელოვანი არ არის.

**— ევროპა საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს არაფრად აგდებს და გვეუბნება: თუ „ქართული ოცნება“ 43%-ს ვერ მიიღებს, რიგგარეშე არჩევნებს ჩაგიტარებთო. რ დგას ამ დოკუმენტის მიღმა — ისევ ნაცების ხელისუფლებაში მოყვანა სურთ? ეს ხომ ყველაფერზე წამსვლელი, კრიმინალური ძალაა. ეს არის დასავლეთის პარტნიორობა და მეგობრობა?**

— ძალიან საინტერესო, ღრმა ანალიტიკური კითხვაა. აქ საქმე შემდეგშია: როცა მიშა მიხვდა, რომ პრეზიდენტად აღარ აირჩევდნენ, გადაწყვიტა, ქვეყანა საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადასულიყო. კონსტიტუციაში ისეთი ცვლილება მომზადდა, რის შედეგადაც საპარლამენტო რესპუბლიკა გავხდით. ეს მას თავისთვის უნდოდა, წასვლას არც აპირებდა. მას ჰქონდა პროექტი 49/51-ზე, რითაც ხელისუფლებას ინარჩუნებდა. მაგრამ მერე, მოხდა კოაბიტაცია, აშშ ჩაერია. მიშას უთხრეს: უნდა წახვიდე, იბრძოლე და ისე მოდი ხელისუფლებაშიო. მანაც დათმო. ეს ამერიკელებმა გააკეთეს. დღეს, საპარლამენტო რესპუბლიკა ვართ. მაგრამ ეკონომიკურად, სოციალურად, კულტურის დონით რამდენად მზად ვართ საპარლამენტო რესპუბლიკისთვის? საპარლამენტო რესპუბლიკა განვითარებად ქვეყნებში იშვიათია. განვითარებულ ქვეყნებშიც — ისრაელსა და იტალიაში ვხედავთ რა გაწამაწიაა. ეს ადვილი არ არის. ვფიქრობ, მაინც, საპრეზიდენტო რესპუბლიკას უნდა დავუბრუნდეთ, ოღონდ, შუალედური ტიპისას და არა ამერიკულს. ახლა, რა ხდება? — რადგან საპარლამენტო რესპუბლიკა ვართ, გვეუბნებიან: კოალიციური მთავრობა უნდა შექმნათო. სამწუხაროდ, აქ, ბრძოლა მიდის 43%-ისთვის და არა საქართველოს განვითარებისთვის. ეს ქვეყნის უბედურებაა. თუ „ქართული ოცნება“ 43%-ს ვერ აიღებს, რიგგარეშე არჩევნები ჩატარდება. ჩემი აზრით, მას ამ პროცენტის აღება გაუჭირდება. მერე რა მოხდება, რა უნდა აშშ-ს, ევროპას? — დიახ, საქართველოში იყოს კოალიციური მთავრობა. ეს არის მიზანი. ვინ იქნება კოალიციაში? — „ქართული ოცნება“, ალბათ, ნაცები და რომელია მესამე ძალა? პატარ-პატარა, ერთკაციანი პარტიები ხმებს ვერ აიღებენ, ისინი ბლოკში უნდა შევიდნენ. ისეთი პოლიტიკური ძალები როგორებიცაა „ლელო“, „ევროპული საქართველო“, „გირჩი“, „სტრატეგია აღმაშენებელი“ და ა.შ. ხმებს ვერ აიღებენ. მაგრამ პოლიტიკურ ველზე ახალი ძალა გამოჩნდა. საინტერესოა, ვინ გამოაჩინა, რატომ მოდის, რა იმალება ამის უკან? რატომ წამოვიდა გახარია „ქართული ოცნებიდან“? მას, აქამდე, აქებდნენ და ახლა, აღმოჩნდა რომ მოღალატეა? მის წინააღმდეგ დაიძრნენ მინისტრები და მიდის კაკაფონია. საქართველო პოლიტიკურად კი არ ერთიანდება, იშლება, გახლეჩვის გზას დაადგა. იგივე მეორდება, რაც გამსახურდიას დროს იყო. ზუსტად იგივე სცენარია. ვინ წერს ამ სცენარს, ვინ ახორციელებს და ბოლოსდაბოლოს, საით მივდივართ — ეროვნული სახელმწიფოებრიობისკენ თუ დიქტატისკენ? ადრე, დიქტატი მოსკოვიდან იყო, ახლა, უნდა ველოდოთ ვაშინგტონიდან, ბრიუსელიდან. სად ვართ? ასეთი დამოკიდებულება არ არის არც სომხეთში, არც აზერბაიჯანში, არც ბალტიისპირეთში და არც სადმე სხვაგან. ჩვენ, ერთადერთი ქვეყანა ვართ, სადაც ეს ხდება. სამწუხაროდ, „ქართული ოცნების“ პარტიულმა ელიტამ, მმართველობის თვალსაზრისით, უფრო მეტი მოინდომა, ვიდრე მთავრობამ. მან მთავრობის მართვაც მოინდომა. ეს არის კობახიძის გზა. მსოფლიოში არ არსებობს პარტია — ოცნება. ოცნება სულ არის, ეს რაღაცით ხომ უნდა დამთავრდეს, ჩვენ, სულ ხომ არ ვიოცნებებთ? ჩვენ, რა გზას ვირჩევთ — კოალიციურ მთავრობას?

**— როგორც აღნიშნეთ, აქ, კოალიციური მთავრობის შექმნა, დასავლეთის სურვილია, მაგრამ ჩვენი სუსტი სახელმწიფო ინსტიტუტები ამას როგორ გაუძლებს?**

— დიახ, როგორც აღვნიშნე, ეს ვერ მუშაობს ვერც იტალიაში, ვერც ისრაელში. ზემოთაც ვთქვი და ისევ გავიმეორებ: ჩვენ განვითარებადი ქვეყანა ვართ და ამ დროს, განვითარებული ქვეყნის დემოკრატიას ვეჭიდებით, რაც შეუძლებელია. ჩვენთან, კოალიციური მთავრობა ვერ იარსებებს. პარლამენტი თუ დაიშალა იგივე დაემართება მთავრობასაც და ცოდვა-მადლის ტრიალი იქნება. მაგრამ დასავლეთი სხვა გზას არ გვიტოვებს. პირდაპირ გეტყვით: ჩვენ, საექსპერიმენტო ბაზა გავხდით. თავის დროზე შევარდნაძე ამბობდა: საქართველო საექსპერიმენტო ლაბორატორიააო. მძიმე სურათი იშლება — კოალიციური მთავრობა არ გვინდა, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს. დასავლეთს ასე სურს. ჩვენ, სამწუხაროდ, მის სხეულზე ვართ მიბმული. ჩვენ, თავად ვერ ვქმნით ჩვენს პოლიტიკურ კულტურას. აქ, რა იდეოლოგიაა? საქართველო არის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის მატარებელი? — არა! ამაშია საქმე. რაღაც ძვრები, თითქოს, დაიწყო. ივანიშვილმა ქვეყნისთვის ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ საკადრო პოლიტიკა შეცდომა იყო. არადა, ყველაფერს კადრები წყვეტენ. ამ მოკლეშარვლიანებით და მოკლეკაბიანებით წყდება ქვეყნის ბედი? აქ, უნდა იყოს ყველა თაობა, ეროვნება და სამშობლოსთვის იბრძოლონ. საქართველო ერთსულ უნდა გაერთიანდეს. კიდევ, ვკითხულობ: საით მიდის ქვეყანა? გახსოვთ, ზღაპრებში როგორ არის? — მარცხნივ წახვალ — დაიღუპები, მარჯვნივ წახვალ — დაიღუპები. აი, ასეთ ვითარებაში ვართ. რა გავაკეთოთ? — პირდაპირ უნდა ვიაროთ, მაგრამ იქ, უფსკრულია. მას რომ გადავახტეთ, ჯერ უკან უნდა დავიხიოთ და მერე, გადავაფრინდეთ, თორემ, შიგ ჩავვარდებით. ბიძინა ივანიშვილმა ტაძრისკენ მიმავალი გზა ეკალ-ბარდებისგან გაწმინდა, მივიდა ტაძართან, მაგრამ შიგნით ველარ შევიდა. მთავარია, ქართული სახელმწიფო, ქართველი ერი ტაძარში შევიდეს. ეს ყველასთვის მნიშვნელოვანია, თუნდაც, გაზეთისთვის, თქვენი შესანიშნავი მთავარი რედაქტორისთვის. ბატონი ვახტანგით აღფრთოვანებული ვარ, საოცარი გათვლები აქვს. „საერთო გაზეთს“, ყოველთვის, მოუთმენლად ველოდები, ბევრ რამეს აძლევთ ადამიანებს. ასე, რომ ჩვენ, ერის გაერთიანება უნდა დავიწყოთ და ყველაფერს ეშველება.







თამარ შველიძე
555 23 28 24

# ვინ არის და საიდან მოხვდა გიორგი გახარია ამ „გაუგებრობაში“?!

## გამოიწერთ გახარიას? ჩამოგივათ რომელიმე ხოჯევანიშვილი!



ვინ არის გიორგი გახარია, სად იყო, საიდან მოვიდა, რანაირად გაჩნდა ბიძინა ივანიშვილის გარემოცვაში? მე ახლა მოგიყვებით ამბავს, რომელიც არც ჭორია, არც სხვისი მონაყოლი, არც წყაროზე შემთხვევით გაგონილი: ორი-სამი წლის წინ, როცა გახარია ჯერ კიდევ შინაგან საქმეთა მინისტრია, პოლიტოლოგ სოსო ცინცაძის აგარაკზე ვართ ასულები ბაზალეთში ათიოდე ახლობელი, მისი დაბადების დღეა. სხვათა შორის, ამაზე გაკვრით ადრეც დავწერე, მაგრამ დეტალები გამოვტოვე, მაშინ მთავარმა მოქმედმა პირმა მთხოვა, რაც მოვყევი, არ „გააბაზროო“. რაკი მოგვიანებით თვითონ დაიწყო ლაპარაკი, ახლა მეც მოვყვები, რა იყო და როგორ იყო. მოკლედ,



გითხარით, სოსო ცინცაძის დაბადების დღეზე ვართ ასულები ბაზალეთში, კაი ამბავია, მშვენიერი სუფრა, მშვენიერი ბუნება, მშვენიერი ჰაერი, მშვენიერი საზოგადოება. გავიხედე, ცოტა დაგვიანებით ჭიშკარი გაიღო, გია ხუხაშვილმა და დავით აქუბარდიამ შემოაბიჯეს. სუფრასთან დასხდნენ, სალამი, ქალამი, იქითური, აქეთური და სადღაც მიწურულს სწორედ გახარიაზე ჩამოვარდა სიტყვა. იცით, ეგ ვინ მიიყვანა ბიძინასთანო? საინტერესო თემა „გაიჩითა“, მით უფრო მაშინ, როცა არავინ არაფერი იცოდა.

გია ხუხაშვილი ყვება: „ერთი დღეც არი, 2012 წლის შემოდგომაა, „ქართული ოცნება“ უკვე ხელისუფლებაშია, სახლში მივდივარ დაღლილი, დედაჩემი მეუბნება, მეზობელი სადარბაზოდან კაცი იყო მოსული, შენი ნახვა უნდა, სერიოზული ადამიანი ჩანსო. რამდენიმე დღის მერე ისევ მოვიდა საკმაოდ სიმპატიური ადამიანი და მეუბნება, ჩემი შვილი მოსკოვში ცხოვრობს, ასეთი და ასეთი პიროვნებაა, ესა და ეს იცის, თუ გაიცნობთ, აუცილებლად გამოგადგებათ, ჩამოსვლა უნდა საქართველოშიო. გავიდა რაღაცა პერიოდი, ვსხედვართ, ვსაუბრობთ, ვეძებთ კადრებს, ვანაწილებთ თანამდებობებს და უცებ გამახსენდა გიორგი გახარია. შევხვდი, გავიცანი, დაველაპარაკე და მომეწონა. მერე მივიყვანე ივანიშვილთან, გავაცანი, მოეწონა და გავუშვით ბიზნეს-ომბუდსმენად. შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები, იცით“.

სიმართლე გითხრათ, მე მჯერა, რომ ასე იქნებოდა, თვით გახარიამაც დაადასტურა ინგა გრიგოლიასთან, დაახლოებით ასე იყოო. ერთი პერიოდი ბევრს ლაპარაკობდნენ, თითქოს ივანიშვილი გახარიას რუსეთიდან იცნობდა, მათ ჰქონდათ რაღაც ბიზნესინტერესები და ჩამოიყვანა თავის მარჯვენა ხელად. მსგავსი არაფერი ყოფილა, გიორგი გახარია, რომელიც ძალიან მაღლა აფრინდა და ერთ დღესაც ძირს დაენარცხა, ბიძინა ივანიშვილთან წარადგინა გია ხუხაშვილმა.

დიახ, ვიმეორებ, გახარია ივანიშვილს წარუდგინა ხუხაშვილმა, მაგრამ დავიჯეროთ, იმავე ხუხაშვილმა კარგად არ შეისწავლა მომავალი პრემიერ-მინისტრის წარსული, მით უფრო რუსეთში ნაცხოვრები ადამიანისა? შეიძლება ბატონი ბიძინა დეტალებით აღარ დაინტერესდა, ხუხაშვილს ენდო, როგორც გიორგი მარგველაშვილის ამბავში ენდო, მაგრამ დავიჯეროთ, მართლა შემთხვევითობასთან გვაქვს საქმე? ესე იგი, გახარიას მამა ფლოსტებით და სპორტულებით გადავიდა მეზობლებში, დაუბარა, ბიჭი მყავს მოსკოვში ტალიკ-ტალიკა, გრძელ-გრძელი, სიმპატიური, იქნებ დამისაქმოთო? ჰოდა, როცა ხუხაშვილი თანამდებობებს ანაწილებდა, უცებ გაახსენდა მეზობელი გახარიები და ეგრევე აიღო ხელში ტელეფონის „ტრუპკა“. იქნებ „ბრძენ“ ხუხას არც ის გახსენებია, რომ ბატონ გახარიას ორმაგი მოქალაქეობა ჰქონდა, ერთი რუსეთისა, მეორე კიდევ საქართველოსი და... აი, აქ ზის დიდი კითხვის ნიშანი ძახილის ნიშანთან ერთად (?!), ვინ და როდის მიანიჭა იმავე გახარიას საქართველოს მოქალაქეობა? ვინ და... მიხეილ სააკაშვილმა! 2012 წლის 18 სექტემბერს, არჩევნებში დამარცხებამდე დაახლოებით თვენახევრით ადრე! იცით, ეს რა დროა? როცა მიხეილი ხავსს ეჭიდება, ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობას ართმევს და ტრაკიდან ბოლი გასდის. წესით მოქალაქეობების ჩამორიგებისთვის არ უნდა ეცალოს, მაგრამ გახარიას აძლევს. ნეტავ რა ხდება? როგორც ავი ენები ამბობენ, 2012 წლის შემოდგომაზე გიორგი გახარია სამეგრელოში იყო ჩასული და „ნაციონალურ მოძრაობას“ „უპადერჟკებდა“. ვერ გეტყვით, ეს სიმართლეა თუ არა, პირადად არ მინახავს, წყაროზე ამბობენ. ლოგიკის თანახმად, გია ხუხაშვილი ასეთ პიროვნებას ასე ჰაიჰარად, მხოლოდ მეზობლური ხათრიანობით ვერ მიიყვანდა ბიძინა ივანიშვილთან, თანაც ეგრევე ბიზნეს-ომბუდსმენის თანამდებობაზე, გამორიცხულია!

რა განათლება აქვს გიორგი გახარიას?

ის 1992-1994 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე. მოგეხსენებათ, ჩვენს დედა უნივერსიტეტში 2-წლიანი ფაკულტეტები არ არსებობს, მით უფრო იმ პერიოდში არ არსებობდა, თუ ბედნიერება გეწვეოდა და რომელიმე ფაკულტეტზე მოხვდებოდი, 5–6 წლის განმავლობაში




უნდა გერბინა ან ვაკეში, ან კიდევ მაღლივში. ჰოდა, რა ქნა ამ გახარიამ, შუა გზაზე მიატოვა სწავლა? იქნებ გარიცხეს? ალბათ პირველი უფროა, მან საბუთები გაიტანა და წავიდა მოსკოვში, შეიტანა მიხეილ ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც დაასრულა 1999 წელს. აი, ეს უკვე სხვა ამბავია, ლოგიკაშიც ჯდება და ვადებშიც. თუმცა, ამ უნივერსიტეტში მისი განსწავლულობა ამით არ დამთავრებულა, მას შემდეგ, რაც მიენიჭა პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი, 2003–2004 წლებში სწავლობდა „ლომონოსოვში“ ეკონომიკის ფაკულტეტის უმაღლეს ბიზნეს სკოლაში, სადაც მიენიჭა ბიზნესის მართვის მაგისტრის ხარისხი. როგორც ჩანს, ბიზნესის მართვაში განსწავლულობა მეორადი ფაკულტეტი გახლდათ, თორემ 1 წელიწადში ვერ მოამთავრებდა.

რას აკეთებდა შემდეგ გიორგი გახარია, რას საქმიანობდა, სანამ გია ხუხაშვილი რეკომენდაციას გაუწევდა? ისე, საინტერესოა, ჩაწერა თუ არა ამ რეკომენდაციაში, რომ მისი მეზობელი ისევ რუსეთის მოქალაქე იყო ვლადიმერ პუტინის ბრძანების საფუძველზე და 2012 წლის სექტემბერში მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობაც უბოძა? არ ვიცი, ალბათ არა, ან კი!

პერიოდულად ვიღაცები ისევ ლაპარაკობენ ხოლმე, ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკა და კადრების შერჩევა არ იცისო. პოლიტიკაზე რა მოგახსენოთ, ზოგჯერ მგონია, იმაზე მეტი იცის, ვიდრე უნდა იცოდეს, სხვანაირად ვერც „ნაციონალებს“ დააწიოკებდა და ვერც მათთან გათანაბრებულ პირებს გააბითურებდა, მაგრამ კადრებთან დაკავშირებით მაქვს შეკითხვა: რავა, ბატონებო, ყველა სფეროში, თუნდაც მთავრობაში ყველა კადრი ბიძინა ივანიშვილმა უნდა მოძებნოს? ბიჯოოო, მიუყვანეს მარგველაშვილი, ქებით ძირი გააგდებინეს, ცამდე აიყვანეს, იგეთი პრეზიდენტი იქნება, მეტი რო არ იქნებაო. დაუჯერა, ვიღაცას ხომ უნდა დაუჯეროს, ვიღაცას ხომ უნდა ენდო? დაუჯერა და მთხლე გამოდგა, მთხლე!

ერთხელ ვუთხარი, ეგ კაცი არ გამოდგება-მეთქი. რას ამბობ, მარგველაშვილი მაგარი პრეზიდენტი იქნებაო. სჯეროდა, ვიღაცას ხომ უნდა დაუჯეროს? ლამის მეც დავიჯერე, მაგრამ მერე ვნახე, როგორ დასწყდა გული თვით ბიძინა ივანიშვილს. მახსოვს მისი სიტყვები, 60 წლის კაცი ვარ, ასეთი რამე არ მინახავს, მარგველაშვილი არჩევამდე სულ სხვანაირი იყო და არჩევის შემდეგ სულ სხვანაირი გახდაო. გახდებოდა სხვანაირი, აბა რა, უნახავმა რაღაცა ნახა და! ვისაც კი გვირგვინი დაადგა ბატონმა ბიძინამ, ვისაც კი ენდო, თითქმის ყველამ ვირეშმაკობა დაიწყო, თითქმის ყველა იქით შეუტრიალდა. გია ხუხაშვილმა თქვა იმ შეხვედრის დროს, გიორგი კვირიკაშვილი გაგდებული ჰყავდა საერთოდ, ღალატში გამოიჭირა, მაგრამ მერე შეუჩნდნენ, სთხოვეს, დაარწმუნეს, ეგეთი ბიჭი არ არიო და დააბრუნებინესო. გაგდებული რომ ჰყავდა ეგა და „ბღუჯა“ ქუმსიშვილი, ეგ ვიცით, ეგ დასაწყისშივე მოხდა, 2011 წლის შემოდგომაზე გამოქვეყნებულ წერილშიც ახსენა, მაგრამ მერე? მერე ის, რომ ისევ ბოროტად გამოიყენეს ამ კაცის მიმტევებლური ბუნება. ის კი არა, ხუხაშვილი იცინოდა, კვირიკაშვილის მობრუნება საერთოდ კურიოზი იყოო და ეს კურიოზული მობრუნებული ადამიანი შემდეგ გახდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი. ერთადერთი კაცი, ერთადერთი პრემიერ-მინის-

ტრი, რომელმაც ივანიშვილს არ უღალატა და იქით გინება არ დაუწყო, ეს არის ირაკლი ღარიბაშვილი. ახლა გახარია აცხადებს, ბატონ ბიძინაზე არც ავს ვიტყვი, არც კარგსო. ეს რას იძახი, ბიჯო? ადამიანი კარგად რომ ახსენო და მადლიერება გამოხატო, თანაც მის მიმართ, ვინც ოლიმპოზე წამოგსვა, „გრეხია“?! ამ ხალხმა ვერ გაიგო, რომ მადლიერება, როგორც ასეთი, ადამიანის ყველაზე დიდი ღირსებაა. თუ არ გაგაჩნია მადლიერების შეგნება, არც კაცად ვარგიხარ, არც მშობლად, არც შვილად, არც მეგობრად, არც მეზობლად, არც თანამშრომლად, არც პარტნიორად, არც ნათესავად!

კიდევ ერთი ალოგიკურობა, ანუ უმადურობა!

გიორგი გახარია ამბობს, მელიას დაჭერა რომ მოინდომეს, ბიძინა ივანიშვილს დავურეკე, არ მიპასუხა და ამიტომ გადავდექიო. თუ ეს მართალია, გახარია გადასადგომი კი არა, გასაგდები ყოფილა. ჯერ ერთი, ადამიანმა თქვა, პოლიტიკიდან საერთოდ წავედი, აღარ ჩავერევი, მიხედეთ ქვეყანა-



სო. შე ოჯახაშენებულო, ჩაგაბარა ამხელა სახელმწიფო, დაგნიშნა პრემიერ-მინისტრად, რაღას ურეკავ, ტრაწიანი მელიას დაჭერა-არდაჭერის საკითხზე აწუხებ? მით უმეტეს მაშინ, როცა უცხოეთის სპეცსამსახურები კომპრომატებზე ნადირობენ? ესე იგი, დაურეკავდა გახარია, ივანიშვილი უპასუხებდა, რაღაც ისეთს იტყოდა და მორჩა, მერე ამ ჩანაწერს მისცემდნენ შავნოდარას. თუ არ მისცემდნენ, თუ არ ჩაიწერდნენ, გახარიას ტელეფონში მაინც ხომ დარჩებოდა? ტიპი იძახის, რაც პრემიერ-მინისტრი გავხდი, ივანიშვილთან კონტაქტი არ მქონია, საერთოდ არაფერში ვიყავი შეზღუდულიო და თან ეჭვიანობს, ვიღაცა რაღაცებს ალაგებდაო. იქნებ ჩვენი წინაპრები ალაგებდნენ რაღაცებს? იქნებ მორალი ალაგებდა? იქნებ ადათი და სამართალი? იქნებ უცხოპლანეტელები ალაგენდნენ? კაცი პრემიერ-მინისტრი ხარ, ცოტა აზრზე მოდი, ხიდზე გადი, დაფიქრდი, რას ლაპარაკობ. ამ დროს ინგა გრიგოლია ყალყზე დგას, ცხვირიდან ოხშივარი გამოსდის, რაო? ბიძინაო? ბიძინა ივანიშვილი ალაგებდა რაღაცებსო? ესე იგი, ისევ არაფორმალური მმართველობაა საქართველოშიო? უი, რას ამბობ, ბიძინა ივანიშვილი არ წასულაო? აჰა, რა თქმა უნდა, არ წასულა, თორემ წერილს არ დაწერდა, მოღალატედ არ გამოგაცხადებდათ, ბატონო გიორგიო. თქვენი არ ვიცი და... მრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს ხალხი ვერ არი თავის „მატორზე“... უფრო სწორად, ეს ხალხი უკვე ისე აჟიჟინებს, უკვე ბოდვებში ცხოვრობენ. ამათ უნდათ, ბიძინა ივანიშვილი საერთოდ არ იყოს, არც საქართველოში, არც არსად. ამ უდღეურების სურვილია, ეს ქვეყანა იყოს „ჭუტას“, „ყუტას“, „მუტას“, „მაჭუტას“, „ყაყუტას“ ხელში. არა, ბიძინა აქ არ უნდა იყოს, ბიძინა უნდა გაქრეს. რატომ? იმიტომ, რომ ესენი თემურ ალასანიას მოპარული ფულებით იკვებებიან, კეზერაშვილის მპოარული ფულებით არსებობენ, ივანიშვილი ზედმეტია, ძალაუფლება წაართვა. ხანდახან ნუგზარ წიკლაურს წამოსცდება ხოლმე, ივანიშვილმა ძალაუფლება წაგვართვა და უნდა დავიბრუნოთო... არა, ივანიშვილმა ძალაუფლება ხალხს წაართვა და უნდა დავუბრუნოთო. ვინ ლაპარაკობს ხალხის სახელით? ბეყე, რომელსაც ერთი ხე არ დაურგავს საქართველოში!

თითქოს სიტყვა გამექცა, მსჯელობამ გამიტაცა... დავუბრუნდეთ გახარიას ბიოგრაფიას, რა შრომითი საქმიანობა აქვს გამოვლილი საქართველოში ჩამოსვლამდე? სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილის გარდა, რუსეთიდან ჩამოსულებზე ბევრი არაფერია ხოლმე ცნობილი, ყველას ჰქონდა ბიზნესი და მორჩა, დრო თვითონ ააშკარავებს რაღაც-რაღაცებს, თორემ დანარჩენი საიდუმლოებით არის ხოლმე მოცული. მაგალითად, გიორგი გახარია 2006-2009 წლებში იყო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ბიოტექნოლოგიის მიწვეული ლექტორი. 2008 წლის ნოემბერიდან





ხუხაშვილის ნათლულები

იყო **Lufthansa Service Holding AG. (LSG, Frankfurt am Main) Germany GR &** ბიზნესის განვითარების დირექტორი აღმოსავლეთ ევროპაში, დსთ-ს ქვეყნებსა და რუსეთის ფედერაციაში 2013 წლის თებერვლამდე. აი, სულ ეს არის, გუგლშიც კი მეტი არაფერი იძებნება. აქაური შრომით კარიერა იცით, აღარ გავიმეორებ, დავუბრუნდეთ მის ორმაგ მოქალაქეობას და მიხეილ სააკაშვილის როლს მის ცხოვრებაში (ამონარიდი არქივიდან):

„ორმაგი მოქალაქეობა არ მაქვს და ბევრი წელია, არც მქონია“, – ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა, გიორგი გახარიამ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე „მინისტრის საათის“ ფორმატში დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

ამასთან, შს მინისტრმა აღნიშნა, რომ თავის დროზე მას საქართველოს მოქალაქეობა მიხეილ სააკაშვილმა მიანიჭა და ისიც – „ბევრი წლის წინ“. რა ბევრი წლის წინ, ბიჯო? 2012 წელს მოგანიჭა, 2013-ში ბიზნეს-ომბუდსმენი გახდი, 2016 წლის 14 ნოემბრამდე რუსეთის ფედერაციის მოქალაქე იყავი და სანამ არ გაგამინისტრეს, არ დატოვე და ისიც დატოვე იცი, რატომ? იმიტომ, რომ კანონით აკრძალულია. შენ რუსეთის მოქალაქეობა ეკონომიკის მინისტრად დანიშვნამდე 8 დღით ადრე დატოვე იმიტომ, რომ ასე გჭირდებოდა, უფრო მაღალ სავარძელს სხვანაირად ვერ მოირგებდი. აქ საინტერესო ის არის, რომ მთელი 4 წელიწადი იყავი უცხო ქვეყნის მოქალაქე და ეს არც კი გეჩოთირებოდა.

როდის გახდა გიორგი გახარია რუსეთის მოქალაქე? 2005 წლის 5 აგვისტოს. ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, გიორგი გახარიას მამა, ზაურ გახარია წარმოშობით სენაკელია, პროფესორი და სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ კოორდინატორი. დედა – მზია ლეჟავა წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს ეროვნულ არქივში. ისინი ეროვნული მოძრაობის დროს ზვიად გამსახურდიას განსაკუთრებული მხარდამჭერები იყვნენ და მიტინგებზეც ხშირად დადიოდნენ. სხვათა შორის, გახარიებს „ქართული ოცნების“ მიმართ პრეტენზიები მხოლოდ ახლა არ გაჩენიათ – 2019 წელს პანკისის ხეობის მოვლენების შემდეგ, „რუსთავი 2“-მა ჩაწერა ინტერვიუ გახარიას მამასთან, რომელიც იქ არსებულ დაპირისპირებაზე ალაპარაკდა:

„თავი დავანებოთ ოპოზიციას, შიგნითაც თავის ხალხმა დაუწყო ფეხის დადება, იმას ვიღაცის გაშვება უნდა, ეს უნდა, ის უნდა... პანკისის სპეცოპერაციის შემდეგ სუს-ის უფროსის მოადგილემ პირდაპირ მისკენ გაიშვირა ხელი. გიორგიმ გადაწყვიტა ყველაფერი? ეს ერთობლივი გადაწყვეტილება იყო“!

ხედავთ? მამამისის თქმით, გიორგის ჯერ კიდევ შინაგან საქმეთა მინისტრობის პერიოდში ებრძოდნენ. ისე, სწორად შენიშნა ინგა გრიგოლიამ, როცა გახარიას უთხრა, მე ძლევამოსილი ფიგურა მეგონეთ და თურმე რა სუსტი ყოფილხართო. დიახ, სამწუხაროდ, ბევრს გვეგონა ძლევამოსილი, დახვეწილი და ფრონტის წინა ხაზზე მებრძოლი, რომელიც „ნაციონალებს“ ემუქრებოდა, აუცილებლად დაგასრულებთო. სინამდვილეში საქმე გვქონია ვინმე ჩანჩურ პეტროვიჩთან, რომელსაც საკუთარი ჩრდილისაც კი ეშინოდა. თურმე ოპოზიცია კი არა, შიგნით გუნდში ცდილობდნენ მისთვის ფეხების დადებას, თურმე ვიღაცები თითებს იშვერდნენ, ესა და ეს საქმე გახარიამ დაგეგმაო. დავუშვათ, დაგეგმა, მერე? არც არაფერი, ევალებოდა და უნდა დაეგეგმა, თუ ასეთი რაღაცები არ ეპიტნავებოდა, მაშინ ეთქვა გრიგოლ ვაშაძისთვის და რეკომენდაციას გაუწევდა ნინო ანანიაშვილთან საბალეტო დასში. გრიგოლი



ამონაწერი

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

N 834 2012 წლის 18 სექტემბერი ქ. თბილისი

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის საქართველოს
მოქალაქეობის მინიჭების შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მიენიჭოთ საქართველოს მოქალაქეობა:

**გიორგი გახარიას**, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს, დაბადებულს 1975 წლის 19 მარტს საქართველოში;

მიხეილ სააკაშვილი

და ეგ მოსკოვებიდან მოდიან, უარს ნამდვილად არ ეტყოდა.

რა ქონებით ჩამოვიდა გიორგი გახარია საქართველოში? რა ქონება ჰქონდათ მის მშობლებს ამ ქვეყანაში? რომ გითხრათ, უქონელნი და ღარიბები იყვნენ-მეთქი, სასაცილო იქნება, 2013 წლის მდგომარეობით, გახარიას ოჯახს უძრავი ქონების სახით გააჩნდა: ბინა – რუსეთის ფედერაცია, მოსკოვი, 76 კვ.მ; მიწის ნაკვეთი – თბილისი, მაზნიაშვილის ქ. 4ა, ფართობი – 395 კვ.მ; ბინა – თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, 80 კვ.მ; ავტოფარეხი – თბილისი, ამაღლების ქ. 20.30 კვ.მ; არასაცხოვრებელი ფართი – თბილისი, ამაღლების ქ. 14.00 კვ.მ; მიწის ნაკვეთი – სიღნაღის რაიონი, სოფელი ხორნაბუჯი, ფართობი – 280000 კვ.მ; დეკლარაციაში ზაურ გახარიას სახელზე ფიქსირდება მშენებარე ბინა (ნასყიდობა, ბინა 82კვ.მ. ბინათმშენებლობის ხელშეკრულება, 123 750.00 აშშ დოლარი). რაც შეეხება საბანკო ანგარიშებს, ძირითადად „რაიფფაიზენ ბანკით“ სარგებლობდა და ჰქონდა რაღაც თანხები, ამას ნუღარ დავუთვლით, ნამდვილად არ არის მილიონები. შემდგომში გაჩნდა მის განკარგულებაში სახლი წავკისში, მიწის ნაკვეთები და ბინა პარიზში. ისე, ცოტა მოუქნელი ტიპია ეს გახარია, როდესაც გავარვარებულმა ინგა გრიგოლიამ საფრანგეთში ნახევარ მილიონად ნაყიდ ბინაზე ჰკითხა, უპასუხა: ალბათ იცით, ჩემი შვილი პარიზში სწავლობს და ქირის გადახდას ისევ ყიდვა ვამჯობინეთო. წმინდა წყლის ქართული ვარიანტია, სოფლიდან გოგო-ბიჭებს რომ გამოაგზავნიან ხოლმე დედაქალაქში და თან ბინასაც უყიდიან, ემანდ ქირა რაღაზე ვიხადოთო? ბევრი ვიცი ეგეთი. გახარიას შემთხვევაში თანხა იწვევს ჩვენი მოსახლეობის გაღიზიანებას, თორემ დანარჩენი იგივეა.

მეტი რა გითხრათ, რით გაგახაროთ? ამ წერილს ლირიკულად დავასრულებ. ამას წინებზე ტელე „იმედმა“ სიუჟეტი გაუშვა სათაურით: „გიორგი გახარიას ნეპოტისტური ქსელი“, საიდანაც გამოჩნდა, როგორ დაასაქმა ყოფილმა პრემიერმა ნაცნობ-მეგობრები, ძირითადად ხოჯევანიშვილები, საბანაძეები, მეზვრიშვილები და მათი ნაცნობ-მეგობრები, ცოლის დები, მულები და მულიშვილები.

ჰოდა... დავუშვათ, ჩემო იმანო, შენ გინდა მხარი დაუჭირო გიორგი გახარიას, საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს, ყოფილ ეკონომიკის მინისტრს, ყოფილ ბიზნეს-ომბუდსმენს... დავუშვათ, ჩემო მეგობარო, შენ გინდა პატივი სცე, გიყვარდეს და ფიცულობდე გიორგი გახარიას მზეს, განა ამაში არის რაიმე მიუღებელი, ცუდი და ხიხია? არა, ქართული საზოგადოების ნაწილს იმნაირები ჰყვარებია, რომ ჩამოვთვალოთ, გადაირევით, გაკვირვებული დარჩებით.

თუმცა!

ამ შემთხვევაში საკითხი სხვანაირად დგას – გამოიწერთ გახარიას? ჩამოგივათ რომელიმე ხოჯევანიშვილი (ორნი ძმანი ყოფილან). დიახ, ყველგან ხოჯევანიშვილები, მათი ცოლების დები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, ძალოები და მეგობრები არიან. თუ შემთხვევით ხოჯევანიშვილები არ არიან, მაშინ საბანაძეები და მათი ცოლების დები, ძმები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიცოლები და მათი მულები არიან.

ეგრეა, ვერაფერს იზამ, ჩემო მეგობარო, გადადგამ თუ არა ერთ ნაბიჯს გახარიასკენ, ყველგან ხოჯევანიშვილები, საბანაძეები და მეზვრიშვილები დაგხვდებიან თავიანთი დიდი სანათესაო გუნდებით.

რა იყო, კაცო, ამაზე იძახდა ყოფილი პრემიერი, ქვეყანაში გაგანია ნეპოტიზმიაო? თურმე მართლა ყოფილა!

მოკლედ... გამოიწერ გახარიას? ჩამოგივა ხოჯევანიშვილი!

ყველგან ეგენი ყოფილან!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# გადამტრიალებლები

- ჩვენ უკვე გადატრიალების შუა ფაზაში ვიმყოფებით და ამ საქმეს არაფერი ეშველება, თუ ჩვენი გადატრიალების მოსურნენი იქით არ გადავატრიალეთ.
- ხშირად ამბობენ, საქართველო ილიას გზით მიდისო. ტყუილია ეს — საქართველო ილიას გზით კი არა, ირაკლი წერეთლის გზით მიდის.
- „ჩვენ იმიტომ შემოვდივართ პარლამენტში, რომ პარლამენტი დავშალოთ“.





„ჩვენ იმიტომ შემოვდივართ პარლამენტში, რომ პარლამენტი დავშალოთ“, — განაცხადა ხუთგზის პარლამენტარმა, მოცემულ სიტუაციაში „ნაცმოძრაობის“ მოკავშირემ, კახა ოქრიაშვილმა.

— ხარჯი ხარჯია, ბატონო კახა, პარლამენტთან ერთად ბარემ ქართული სახელმწიფოც დაშალეთ, თქვენც დაისვენებთ, ჩვენც დავისვენებთ, ევროკავშირიც დაისვენებს, აშშ-ც დაისვენებს და ვიქნებით ყველანი ბედნიერნი.

კახა ოქრიაშვილი რომ „ნაცმოძრაობის“ იდეებს ახმოვანებდა, ამ განცხადების გაკეთებიდან მეორე დღესვე დამტკიცდა, როცა ნაცები პარლამენტში შელაგდნენ და პირველი, რაც მათმა ლიდერმა ნიკანორ მელიამ გააკეთა, ჩხუბი, აყალმაყალი, უმრავლესობის წევრებისთვის და მთელი პარლამენტისთვის შეურაცხყოფის მიყენება იყო.

— ჩვენ აქ იმისთვის მოვედით, რომ სათითაოდ გაგიყვანოთ აქედან! — ასე მიმართა პარლამენტარმა ნიკანორმა პარლამენტარ კოლეგებს.

მართალია, ის არ დაუზუსტებია, გარეთ რომ გაგიყვანთ, მერე რას გიზამთო, თუმცა ამას დაზუსტება რად უნდოდა, ისედაც ცხადი იყო, რას გულისხმობდა ნიკანორი.

— ჩვენ აქ იმისთვის მოვედით, რომ სათითაოდ გაგიყვანოთ აქედან და სათითაოდ მოგიკითხოთ დედები! — ამის თქმა უნდოდა ნიკანორს, თუმცა მხოლოდ წინადადების ნახევრის წარმოთქმით დაკმაყოფილდა, დედებთან დაკავშირებული წინადადების მეორე ნახევარი კი მომავლისთვის შემოინახა.

ნიკანორისგან არაფერი მიკვირს — ნიკანორი ის კაცია, რომელსაც პოლიტიკა და ხულიგნობა ერთმანეთში ერევა და მტკიცედ სჯერა, რომ, რაც



უფრო მაგრად იხულიგნებს, მით უფრო დიდი პოლიტიკოსი იქნება, თუმცა მას ეს უხერხული ამბავი ბოროტი განზრახვით კი არ მოსდის, სინამდვილეში, ავად არის ნიკანორი, ემოციების მოთოკვა უჭირს, შინაგან რისხვას და ბოღმას ვერ იოკებს და ზოგჯერ ისეთი სიშლეგე წამოუვლის, ირგვლივ მყოფთათვის საშიში ხდება.

ასეთი კაცი პოლიტიკაში როცა არის და მით უმეტეს, როცა ასეთი კაცი ყველაზე მრავალრიცხოვანი ოპოზიციური პარტიის ლიდერია, ის საშიში და სახიფათო ხდება არა მხოლოდ გარშემო მყოფთათვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის. ნიკანორმა უკვე არაერთხელ გადაჰყარა საქართველო დიდ განსაცდელს და, როგორც ჩანს, ის მანამდე არ მოისვენებს, სანამ მთელ ქვეყანას ბოლომდე არ შეიწირავს, თუმცა ამ საქმეში ის მარტო არ არის — ნიკანორს უფროსი ჰყავს, რომელსაც, როგორც ფსიქიატრები ამტკიცებენ, სერიოზული ფსიქიკური პრობლემები აქვს.

აი, ამ უფროსის ბრძანებებს და მითითებებს ასრულებს ნიკანორი, რომელიც, უნდა ვივარაუდოთ, რომ სპეციალურად შერჩეული კადრია.

ნიკანორი თავისი იმპულსური, ფეთქებადი ხასიათით თავისი უფროსის ალი-კვალია. ეს ორი ადამიანი ერთად ერთმანეთთან შეჯვარებული წყვილ ბომბს ჰგავს, რომელთაგან ან ერთი ააფეთქებს მეორეს, ან მეორე ააფეთქებს პირველს, ორივე ერთად კი ორჯერ უფრო მეტად დააზიანებს ქართულ სახელმწიფოს.



ვინ დასწყევლა ეს ქვეყანა და ვინ შთააგონა: ჭკვიანებს, გონიერ და გონებადამჯდარ ადამიანებს არ დაუჯეროთ და მაინცდამაინც შლეგების ჭკუაზე იარეთო?

9 აპრილის ამბები ამომიტივტივდა უცებ და გამახსენდა, ერმა კათოლიკოს-პატრიარქს, თავის სულიერ მოძღვარს და წინამძღოლს, ზურგი რომ შეაქცია და ირაკლი წერეთელს რომ გაჰყვა.

მართალია, ჩვენ ხშირ-ხშირად კი ვამბობთ, ილიას გზით მივდივართო, თუმცა, სინამდვილეში, იმ დღიდან ილიას კი არა, ირაკლი წერეთლის გზით მივდივართ და სადამდის მიგვიყვანა ამ გზამ, ვხედავთ.

ძალიან ვართ გაბრაზებულები, ძალიან ვართ განაწყენებულები —არ ვიმსახურებთ ჩვენ ისეთ ხვედრს, როგორშიც დღეს ვიმყოფებითო, თუმცა ირაკლი წერეთლის გზით რომ წახვალ, უკეთეს ბედს რატომ იმსახურებ, ამაზე არ დავფიქრებულვართ.

ყველაზე ცინიკური და სასაცილოსთან ერთად სატირალი ის არის, ირაკლის გზით რომ მივდივართ და ილიას გზით მივდივართო, რომ ვიძახით და თავს რომ ვიტყუებთ.

ირაკლი წერეთელს არაფერს ვერჩი და არც შეურაცხყოფას ვაყენებ — მაშინ, გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა, ფაქტობრივად, დიდი პოლიტიკისა არაფერი გვესმოდა და არაფერი გაგვეგებოდა, მას გულწრფელად სჯეროდა, რომ ჩვენი ერთი დაძახება და ნატოს ჯარები მყისვე აქ გაჩნდებოდნენ და რუსებისგან დაგვიცავდნენ.

ბევრს სჯეროდა ასე იმ ოთხმოცდაათიან წლებში, მაგრამ ამ ოცდაათმა წელმა რატომ ვერაფერი გვასწავლა, რატომ ვერ შეგვძინა ვერანაირი გამოცდილება?

ისიც კარგად გემახსოვრებათ, როგორ დაგვიტოვა შევარდნაძემ თავის მემკვიდრედ მიხეილ სააკაშვილი — აი, ეს იქნება თქვენი პრეზიდენტიო, რომ გვითხრა და სახეგაბადრულ მიხეილს მხარზე ხელი რომ მოუთათუნა.

ვინ ვინ და, შევარდნაძემ არ იცოდა, ვინ იყო სააკაშვილი?

როგორ არა, შესანიშნავად იცოდა, მაგრამ ამით დაგვცინა და ირიბად მიგვანიშნა: მეტის ღირსი არ ხართ თქვენ, უფრო კარგ პრეზიდენტს არ იმსახურებთ... მიშას პრეზიდენტობის შემდეგ უფრო კარგად მიხვდებით, ვინ ვიყავი და უფრო დამაფასებთო.

მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, შევარდნაძე ძალიან ნაწყენი იყო ქართველ ხალხზე და სამაგიერო იმით გადაგვიხადა, რომ სააკაშვილი დაგვიტოვა ბატონად, იმანაც სულ ძმრად გვადინა, თუ სადმე რამე გვქონდა დაშავებული მისი პოლიტიკური მამისთვის.

ახლა სააკაშვილი მელიას გვიტოვებს „პრისტავად“ და, რაც მიშამ დაგვაკლო, ეს შეგვისრულებს, როგორც პარლამენტში შემოსვლიდან მეორე დღესვე დაგვპირდა.

ნიკანორი — ახალი დროის კიტოვანი, ახალი დროის ლუიზა შაკიაშვილი თაკო ჩარკვიანი, პოლიტიკურად გაუპატიურებული და ნამუსახდილი გუბაზი, სააკაშვილის ნარძლევი დეკანოიძე,









ფარმა-მაფიოზი ოქრიაშვილი, სხვანი და სხვანი ნაცნი და ნაცდამოკიდებულნი, ვინც პარლამენტის დაშლით და ქართველი ხალხის მიერ არჩეული პარლამენტარების გარეთ გამოყრით იმუქრებიან, იმას ვერ ხვდებიან, რომ კონკრეტულად ამ ადამიანებს კი არა, იმ მილიონ-ნახევარ ქართველს ემუქრებიან „გარეთ გამოყრით“, რომლებმაც ეს ადამიანები პარლამენტარებად აირჩიეს.

ვინ მისცა მათ იმის უფლება, რომ მილიონ-ნახევარი ქართველი აბუჩად აიგდონ, შეურაცხყოფა მიაყენონ, დააბულინგონ, დაემუქრონ?

ვინ მისცა და ჩვენმა მე-





გობრებმა და პარტნიორებმა, რომლებმაც „ნაცმოძრაობის“ ცხრაწლიან ფაშისტურ-კრიმინალურ რეჟიმს წაუყრუეს და სადისტებს და მანიაკებს უფლება მისცეს, საქართველო, ფაქტობრივად, ერთ დიდ საკონსენტრაციო ბანაკად ექციათ.

ვინ მისცა და მათ, ვისაც საქართველოს ეროვნული უბედურების და კატასტროფის ავტორი და შემოქმედი მიხეილ სააკაშვილი, თეთრკანიანი იდი ამინი, უკრაინაში, ოქროს გალიაში ჰყავთ გამომწყვდეული და ყოველდღე გვაშინებენ — თუ ჭკუით არ იქნებით და იმას არ გააკეთებთ, რასაც გეტყვით, ამ სისხლმოწყურებულ ურჩხულს გალიიდან გამოვუშვებთ და თქვენს თავს დავაჭმევინებთო, თუმცა ეს ურჩხული თითქმის 2000 კილომეტრის სიშორიდან გალიიდანაც მშვენივრად ახერ-





ხებს ჩვენს დაჭმას, ხოლო მისი დესანტი, კოდური სახელწოდებით „ნაცმოძრაობა“, პარლამენტის დაშლით იმუქრება.

ბევრჯერ დავსვი ეს კითხვა და პასუხი ვერ მივიღე: პარლამენტში შეჭრის მცდელობა, საბოტაჟი, ბოიკოტი, სახელმწიფო ინსტიტუტების ბლოკირება, პარლამენტის დაშლის მუქარა — ეს ყველაფერი, ერთად აღებული, არ არის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა?

რასაც ახლა ვიტყვი, ესეც ბევრჯერ მითქვამს, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ — იქნებ, ვინმემ გაიგოს და შეისმინოს: საქართველო 2019 წლის 20 ივნისიდან სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის მუდმივ რეჟიმში ცხოვრობს. ჩვენ ახლაც, მოცემულ მომენტში, სახელმწიფო გადატრიალების პროცესში ვართ, რომლის დაგვირგვინებაც შეიძლება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები გახდეს, მასში ჩადებული შენელებული მოქმედების ნაღმით, რომელსაც „ქართული ოცნებისთვის“ დაწესებული 43%-იანი ბარიერი ჰქვია.

ორი წელი გვაჭანჭყარა „ნაცმოძრაობამ“, ორი წელი გვარყია და გვეძიძგილავა, მაგრამ ვერაფერს გახდა, თუმცა ახლა ამ 43%-იანი ბარიერის დაწესებით, შეიძლება, მართლაც მიაღწიოს საწადელს და მომავალ წელს რიგგარეშე არჩევნები დაინიშნოს.

უცნაური ის არის, რომ დოკუმენტი, რომელსაც ეს გადაწყ-

ვეტილება ეყრდნობა, თუ ვინმეს წისქვილზე ასხამს წყალს, ეს წისქვილი „ნაცმოძრაობის“ წისქვილია, რომელიც ცხრა წელი ადამიანთა ძვლებს ფქვავდა და მის ბორბლებს მდინარედ მიშვებული ადამიანთა ცრემლები ატრიალებდა.

აი, ამ ძალის მხარდამჭერად და მოკავშირედ გვევლინებიან ვიღაც-ვიღაცები და, როგორც ჩანს, მანამდე არ მოგვეშვებიან, სანამ ბოლომდე არ გადაგვატრიალებენ და ამას ისე რბილად და ნარნარად გააკეთებენ, სულ მადლობას გვაძახებინებენ.

შევარდნაძემ, რომელსაც იგივე ძალები გამუდმებით ემუქრებოდნენ გადატრიალებით და ბოლოს გადაატრიალეს კიდევაც, ანდერძად დაიბარა თურმე ვიცი, საფლავშიც არ მომასვენებთ და იქაც გადატრიალებას დამიპირებთ, ამიტომ, ბარემ პირქვე დამმარხეთო...

რატომ არავის უკვირს და რატომ არავინ ლაპარაკობს იმაზე, რომ დღესაც ის „სასტავი“ გვიპირებს გადატრიალებას, რომელმაც 2003 წელს, ანუ 18 წლის წინათ, საქართველოში დიდი გადატრიალება მოაწყო



და ხელისუფლება მიიტაცა.

რა ხდება? პროფესიონალი გადამტრიალებლები არიან ესენი და ხან აქეთ უნდა გადმოგვატრიალონ და ხან იქით უნდა გადაგვატრიალონ, ხოლო ამ გადატრიალება-გადმოტრიალების უწყვეტ პროცესს ჩვენმა ძვირფასმა მეგობრებმა დასავლეთიდან დემოკრატია უნდა უძახონ?

2019 წლის 20 ივნისიდან დღემდე, რაც საქართველოში ხდება, ეს სახელმწიფო გადატრიალების დროში გაჭიმული პროცესია-მეთქი, ვთქვი ზემოთ და ეს რომ ასეა, ამას თუნდაც რამდენიმე ფაქტი ამტკიცებს:

ამ ხნის განმავლობაში პარლამენტის ერთი თავმჯდომარე გადადგა, მეორე თავმჯდომარე გადადგა, პრემიერ-მინისტრი გადადგა, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წავიდა.

ამაზე მეტი რა უნდა მომხდარიყო, რომ ვირწმუნოთ: ჩვენ უკვე გადატრიალების შუა ფაზაში ვიმყოფებით და ამ საქმეს არაფერი ეშველება, თუ ჩვენი გადატრიალების მოსურნენი იქით არ გადავატრიალეთ...

გული მიგრძნობს: ქართველი ხალხი და „ქართული ოცნება“ ამას მოახერხებს, თუ ვერ მოახერხებს და, აგერ არის ვოვა, წაიკუზეთ, მოვა!!!

**ვახტანგ ხარჩილავა**

# სიმართლე მწარეა – ნაცისტი კრიმინალების ლობისტი ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსები თავიანთი პატრონობის ქვეშ მყოფთა ხელით ანგრევენ ქართულ სახელმწიფოებრიობას



**სვიმონ ჯანგულაშვილი, მუსიკოსი და ბლოგერი:**

„მაინც, ერთი რაღაცა ვერ გავიგე — აი, გაათავისუფლეს მელია და რურუა, შესრულდა მიშელის „საუკუნის შეთანხმება“. ევროკავშირის ულტიმატუმი დაკმაყოფილებულია.

და გაიმარჯვა დემოკრატიამ? ახლა აყვავდება საქართველო და მოგვარდება ჩვენი საგარეო და საშინაო პრობლემები?

სამწუხაროდ, სიმართლე ძალიან შიშველი და მწარეა — ნაცისტი კრიმინალების ლობისტი ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსები თავიანთი პატრონობის ქვეშ მყოფთა ხელით ანგრევენ ქართულ სახელმწიფოებრიობას!

მოეწონება ეს ვინმეს აქ თუ ოკეანის გაღმა, ასეა, ესაა მწარე რეალობა. სხვანაირად რიგირ ავხსნათ ის, რომ ამერიკაში კაპიტოლიუმზე შტურმი სახელმწიფოს მიერ ტერორისტულ აქტადაა შეფასებული და 300 ადამიანზე მეტია პასუხისგებაში მიცემული, ხოლო საქართველოს პარლამენტის „შტურმავიკს“ ევროკავშირის 26 ქვეყანა უხდის გირაოს და კატეგორიულად ითხოვს მის შეწყალებასა და პარლამენტში დასმას?

რატომ ასეთი ორმაგი სტანდარტი? რით დავიმსახურეთ?

რატომ წვალობენ ასე ამერიკელი და ევროპელი პოლიტიკოსები და რატომ აყენებენ საკუთარ რეპუტაციას საფრთხის ქვეშ?!

იმიტომ ხომ არა, რომ პოლიტიკურ პარტიად წოდებული ნაცისტ-კრიმინალები კი არიან კრიმინალები, მაგრამ მათი კრიმინალები არიან, ერთი ცნობილი გამოთქმისა არ იყოს და მათით უნდათ, „ოცნება“ ჩაანაცვლონ?

მე ვინ ვარ, მაგრამ, რომ მისმენდნენ ჩვენზე „მზრუნველი“ პოლიტიკოსები, ვეტყოდი:

ნუ გვახვევთ თავს კრიმინალ რურუას, მელიას, ოქრუაშვილს, უგულავას, მათ ბელადსა და მთელ მათ „მოძრაობას“! ნუ უჭერთ მხარს სიტყვის და ადამიანის თავისუფლებად შერაცხულ თავგასულობასა და სიძულვილს ყოველგვარი ადამიანურისა და ტრადიციულისადმი!

სადღაა ძმობა, თავისუფლება და დამოუკიდებლობა, თუკი ჩვენი შინაური პოლიტიკა გარედან უნდა გვიკარნახონ? და უფრო მეტიც — უნდა გვიკარნახონ და გვაიძულონ დამნაშავეთა „გათეთრება“. გვაიძულონ, დემოკრატიად და წესრიგად მივიღოთ ის, რაც ყველა ნორმალურ საზოგადოებაში, მათ შორის, მათთანაც, ევროპასა და ამერიკაში, დანაშაული, უწესობა და ამორალობაა..

რატომ უნდა ერქვას დემოკრატია დამნაშავეების დაუსჯელობას? რატომ უნდა ერქვას ჟურნალისტიკა და სიტყვის თავისუფლება გაუნათლებელი, სიტყვამყრალი დილეტანტების „შემოქმედებას“ როგორ უნდათ და რასაც უნდათ, რომ იტყუებიან, აგინებენ, ცილს სწამებენ, ძალადობენ“.

**ფეისბუქი**



# აფერისტების ტრიო და საუკუნის აფიორა

## რატომ არ აშენდა „ანაკლია პორტი“ და რა საერთო აქვს მას აშშ-ს პრეზიდენტის 2016 წლის არჩევნებთან?




გასული წლის 31 ოქტომბრიდან, **პუტჩისტთა, ყაჩაღთა, კაცის მკვლელთა, ნარკომანთა, ლესბოსელთა, ჰომოსექსუალთა და უცხო** ქვეყნების ჯაშუშთა სათარეშოდ ქცეული საქართველო თითქოს დაწყნარდა (ყველა ესენი, აშშ-ევროგაერთიანების და ქვეყნის მმართველი მთავრობის დიდი ხვეწნის შემდეგ პარლამენტში შელაგდნენ), მაგრამ ზემოთხსენებულთა ნაწილი, ამჯერად ქვეყნის **„კანონმდებელი-პარლამენტარის მანდატით“** აღჭურვილი, გაორმაგებული ძალით უტევს სამშობლოს კარიბჭეს და თუ კი დროზე არ მოიძებნა მისი შემაკავებელი ძალა, უთუოდ დაგვენგრევა საძირკველმორყეული სამშობლო თავზე!

ასეთი შთაბეჭდიება დამრჩა, რამდენიმე დღის წინ, **„ტვ პირველზე“ ინგა გრიგოლიას და მამუკა ხაზარაძის „ანაკლია პორტზე“ საუბრის შემდეგ**.

საოცარი ის არის, რომ **„ანაკლია პორტის“ საუკუნის პროექტის ჩამშლელი**, თაღლითი ხაზარაძე, სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების ნაცვლად, იქით ედავება მას **75 მილიონ დოლარს**, არარსებულ




**„ანაკლია პორტის“** მშენებლობას რომ დაახარჯა ვითომ.

ამიტომ, საჭიროდ ჩავთვალე, მკთხველს გავაცნო: **კვირიკაშვილ-ქუმსიშვილ-ხაზარაძის ტრიოს, ქვეყნის საზიანო საიდულოებების შესახებ „ანაკლია პორტის“ საუკუნის პროექტი ჩაშლამდე რომ მიიყვანა და ამის გამო, დიდი ალბათობით, იგი არასოდეს აშენდება!**

2012 წელს, გარდა იმისა, ქვეყანა კაცის მკვლელების და ადამიანის უფლებების ფეხქვეშგამთელავებისგან განთავისუფლდა, რამდენიმე ზემნიშვნელოვან სახელმწიფო პროექტს ჩაეყარა საფუძველი, რომელთა შორის **„ანაკლია პორტი“** საუკუნის პროექტად იქნა შერაცხული და 2014 წელს საერთაშორისო ტენდერი გამოცხადდა.

2015 წლის დეკემბრამდე, საქმე ისე მიდიოდა, **„ანაკლია პორტის“** ტენდერს უპირობო ფავორიტი, კონსორციუმი **„ანაკლია პორტი და ეკოპარკი“** ჰყავდა, პორტის პროექტზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით, საერთაშორისო ექსპერტების **(Ernst & Young)** მიერ მოწონებული **„ანაკლია პორტის წინა საპროექტო ხედვით“ და კონსორციუმში შემავალი, ჩინური, ამერიკული და ინგლისური გიგანტი კომპანიების მონაწილეობით, პროექტის დაფინანსების უზრუნველყოფით.**

2015 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში, საქართველოს მთავრობაში მოულოდნელი ცვლილების შემდეგ, მოკლე დროში, რადიკალურად შეიცვალა მდგომარეობა და **„ანაკლია პორტის“** ტენდერის ფავორიტის როლში, **ერთი წლის წინ დაფუძნებული, ყოველგვარი გამოცდილების და პორტის მშენებლობზე წარმოდგენის არმქონე „ხაზარაძე და კონტი ჯგუფი“**, იგივე **„ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“** მოგვევლინა!

ორი წლის მანძილზე გაწელილი ტენდერი, დაჩქარებული წესით, ქვეყნის ახალმა პრემიერმა **გიორგი კვირიკაშვილმა** და მისმა მოადგილემ **ქუმსიშვილმა** თვენახევარში დაასრულეს.

ტენდერის ფინიშის სწორზე დარჩენილ კონსორციუმ **„ანაკლია პორტი და ეკო პარკის“** საქმიანი შენიშვნები (რომელთა გადაწყვეტის გარეშე პროექტი ვერ იმუშავებდა, რაც მოგვიანებით ცხადი გახდა და ჩაიშალა კიდეც) უპასუხოდ დატოვეს და 2016 წლის 8 თებერვალს **„ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“** გამარჯვებულად გამოაცხადეს.

იმათთვის, ვისაც მცირე წარმოდგენა მაინც ჰქონდა, რა მასშტაბისაა, **წელიწადში 100 მილიონი ტონა ტვირთბრუნვის, 5,5 მილიარდ დოლარად შეფასებული პორტის მშენებლობა**, დაუჯერებელი და ამოუხსნელი დარჩა, თუ რატომ მიიღო საქართველოს მთავრობამ, პროექტის დასაღუპად განწირული გადაწყვეტილება, როცა მისი ბედი ანდო კონსორციუმს, რომელიც **ტენდერის დასრულებამდე ერთი წლით ადრე დაფუძნდა** და **საქმის ცოდნას და გამოცდილებას რომ თავი დავანებოთ**, როგორც მოგვიანებით გაირკვა, **არც პორტის მშენებლობის ფინანსური უზრუნველყოფის გარანტია გააჩნდა?!**

ტელეგადაცემის წამყვან გრიგოლიას აზრად არ მოსვლია ხაზარაძისთვის ეკითხა: **რატომ ეძებდა მისი კონსორციუმი პორტის ასაშენებელ ფინანსებს, ტენდერში გამარჯვების შემდეგ, როცა იგი, ტენდერში საბუთების შეტანის დღესვე უზრუნველყოფილი უნდა ჰქონოდა?**

სწორედ, პროექტის ფინანსური უზრუნველყოფის არქონის გამო, სამი წლის განმავლობაში, **„ანაკლია პორტის“** მშენებლობა ადგილიდან არ დაძრულა, თუ არ ჩავთვლით ზღვის ფსკერიდან ამოტუმბულ 5 მილიონ კუბურ მეტრ მომწამვლელ მასას, რომელიც 100 ჰექტარ ფართობზე 8 მეტრის სიმაღლეზეა დაზვინული. მხოლოდ ამის შემდეგ, 2019 წლის დეკემბერში, მრავალგზისი, უსაფუძვლო დათმობების და მშენებლობის დაწყების გადავადებების შემდეგ, საქართველოს მთავრობამ გაბედა და გადაწყვიტა:

**ე.წ. „ანაკლიის განვითარების კონსორციუმისთვის“ პორტის მშენებლობის უფლება ჩამოერთვა.**

ეს მაშინ, როცა ტენდერის პირობების მიხედვით: **ტენდერში გამარჯვებულს, პირველი ეტაპის მშენებლობა 2019 წლის დეკემბერში დაესრულებინა და ანაკლიის პორტში გემები უნდა შემოსულიყო!**

ყურადღება მიაქციე მკითხველო, ამ პირობის შესრულების შემთხვევაში:

**ვერანაირი პანდემია „ანაკლია პორტის“ მშენებლობას ხელს ვერ შეუშლიდა და იგი უპირობოდ გაგრძელდებოდა იმ კომპანიის მიერ, ვისაც იგი „სამრეწველო-სავაჭრო პორტად“ ჰქონდა დაგეგმილი და ამ მომენტისთვის, ერთ მილიარდ დოლარზე მეტი ექნებოდა დახარჯული.**

მავანთა დანაშაულებრივი ქმედების გამო დამდგარ შედეგს, ორმაგად ამძიმებს ის ფაქტი, რომ ტენდერში მონაწილეთაგან საუკეთესო კომპანიის შესარჩევად, ძვირად ანაზღაურებადი (ამბობენ, 3 მილიონი ევრო გადაუხადეს მათ), **გერმანელი ექსპერტები იყვნენ მოწვეული, რომლებიც პასუხს აგებენ, დამკვეთის წინაშე, მათ მიერ შერჩეული კომპანიის სანდოობაზე.**

ქვეყნის მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯის მართებულობაზე, ეჭვები მაშინ გაძლიერდა, როცა ტენდერის ერთ-ერთი უმთავრესი პირობა – **მშენებლობა 2016 წლის პირველ ივნისს დაწყებულიყო**, დაირღვა და წლის ბოლომდე გადაიტანეს!

სხვა, უფრო საშიში ეჭვიც არსებობდა ტენდერის გამოცხადების დღიდან და იგი, პორტის დანიშნულების **„ნამდვილობას“** ეხებოდა.

ერთ-ერთმა პირველმა (2013წ.) მე ვახსენე, რომ: ანაკლიაში, არა **„სამრეწველო სავაჭრო პორტის“**, არამედ **„სამხედრო ბაზის“** მშენებლობას აპირებდნენ. ქვეყნის მთავრობა და ე.წ. **„ტენდერში გამარჯვებული“** ამას ყურადღებას არ აქცევდა, ეშმაკზე გაყიდული ქართული მასმედია (იშვიათი გამონაკლისის გარდა), ამ ვერსიას კატეგორიულად უარყოფდა.

ყველასთვის მოულოდნელად, როცა 2019 წლის დეკემბერს, **„ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“** ანაკლია პორტის მშენებლობას ჩამოაშორეს, გამოჩნდნენ **„ნატოს“** გადამდგარი გენერლები და აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ბატონი **პომპეო**, რომლებმაც დაუფარავად განაცხადეს, რომ **„ანაკლია პორტის“ მშენებლობა უნდა გაგრძელდეს, იგი აშშ-ის და „ნატოს“ ინტერესებში შედისო!**

გასულ წელს კი, არაერთგზის ახსენეს **„ანაკლია პორტის“** მშენებლობა **„ნატოს“** სამხედრო ძალებთან კავშირში.

2016 წელი საქართველოსთვის არა მარტო **„ანაკლა პორტის“** ტენდერში გამარჯვებულის გამოცხადები, აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებითაც (08.11.2016) ყოფილა ჩვენთვის მნიშვნელოვანი, როცა **რესპუბლიკელი დონალდ ტრამპი** და **დემოკრატი ჰილარი კლინტონი** საპრეზიდენტო მარათონში იყვნენ ჩართული.

ეს შემთხვევა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ცნობილია, რომ პრეზიდენტყოფილ სააკაშვილს, ქალბატონ კლინტონთან, როგორც ამბობენ, კარგი ურთიერთობა ჰქონდა.

საინტერესოა ასევე, **მაშინდელი პრემიერ კვირიკაშვილის და სააკაშვილის სიმპათიები ერთმანეთისადმი,** რომელიც მისი პრემიერობიდან განთავისუფლების შემდეგ საქვეყნოდ გამჟღავნდა.

იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ ქ-ნი **კლინტონი** არანაკლებ რადიკალურია, ვიდრე, პრეზიდენტყოფილი **სააკაშვილი**. ადვილი წარმოსადგენია, ამ ქალბატონის პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში რა უბედურება შეიძლებოდა საქართველოში (რაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ წინ გვაქვს ანაკლიაში) დატრიალებულიყო!

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, აქ გაიხსნა **„გორდიას კვანძი“**, თუ რატომ გამოაცხადეს **„ანაკლია პორტის“** ტენდერის გამარჯვებულად **„ხაზარაძე და კონტი ჯგუფი“**, იგივე **„ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“**, რომელსაც **საჯარო რეესტრის მიერ გაცემული, რეგისტრაციაში გატარების დამადასტურებელი ქაღალდის გარდა არაფერი გააჩნდა!**

თუმცა, ნუ ვიჩქარებთ: **„ხაზარაძე და კონტი ჯგუფი“** და მისი სამთავრობო ლობისტები დარწმუნებული იყვნენ, რომ ქ-ნი **კლინტონი**, მსოფლიო პოლიტიკაში უცნობ **ტრამპს** უპრობლემოდ დაამარცხებდა და ანაკლიაში, პორტად წოდებული **„სამხედრო საზღვაო ბაზა“** ასევე უპრობლემოდ დაფინანსდებოდა,

რომელიმე **არსებული ბაზის პროექტიც** მოერგებოდა და ამისთვის სულაც არ იყო საჭირო, პორტის მშენებლობის გამოცდილება.

ამასობაში, კიდევ ერთი საიდუმლოც გაცხადდა, თუ რატომ მოსთხოვა ე.წ-მა **„ტენდერში გამარჯვებულმა“** მთავრობას კატეგორიულად, პორტის მშენებლობის დაწყების ვადის, პირველი ივნისის ნაცვლად, **2016 წლის ბოლომდე გადაეტანა**!

ტენდერში გამარჯვებულს და მათ ლობისტებს დროის მოგება სჭირდებოდათ (აშშ-ში, პრეზიდენტის არჩევნები 2016 წლის 8 ნოემბერს იყო დანიშნული), რომ მათ მიერ დაგეგმილი თანადგომა მიეღოთ, მაგრამ **კვირიკაშვილ-ქუმსიშვილ-ხაზარაძის** საიდუმლო გეგმა, თავდაყირა დააყენა აშშ-ში ჩატარებული არჩევნების შედეგმა, **მსოფლიო პოლიტიკაში უცნობი დონალდ ტრამპის გამარჯვებამ**!

ასე ჩაიშალა ანაკლიაში **„სამრეწველო-სავაჭრო პორტს“** ამოფარებული **„სამხედრო ბაზის“** მშენებლობა!

(ცალკე და უმძიმესი თემაა, რა საშიშროებას მოიცავს **„სამხედრო ბაზის“** მშენებლობა ანაკლიაში).

აქ უნდა დამთავრდეს იაფფასიანი და ბინძური სპეკულაციები **„ანაკლია პორტის“** გარშემო. ვისაც ქვეყნისთვის სიკეთის კეთება განუზრახავს, ვიწვევთ **„ანაკლია პორტის ეკოლოგიური მონიტორინგის ჯგუფის“** სადისკუსიო დარბაზში, სადაც მაღალი დონის პროფესიონალები გაგცემენ პასუხს, ყველა საქმიან კითხვაზე.

**დავით ქობალია**
598 70 86 00

# ამერიკა დაბრუნდა! რუსეთო, გეშინოდეს!

## ტრამპის „დარიგება“ ბაიდენს: ეცადე შეხვედრაზე არ ჩაგეძინოს



ევროპა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯო ბაიდენს მასპინძლობს. ეს მისი პირველი ოფიციალური ვიზიტია თანამდებობაზე არჩევის შემდეგ. ევროპაში გამგზავრების წინ აშშ-ში ბაიდენი მხნედ გამოიყურებოდა. თუმცა მწერებმა, რომლებითაც ბორტი №1, ასევე ჟურნალისტებისა და დელეგაციის წევრებისთვის განკუთვნილი თვითმფრინავები გაივსო, შეაფერხეს ფრენა. სწორედ ეს გარემოება გახდა ჟურნალისტების ქილიკის საბაბი. თუმცა ბაიდენი უკვე ევროპაშია. დიდ ბრიტანეთში ჩასვლისთანავე ჯო



ბაიდენი აშშ-ის სამხედრო ავიაბაზაზე მივიდა, სადაც სიტყვით მიმართა სამხედრო მოსამსახურეებს.

„...დიდი შვიდეულის სამიტის შემდეგ, პრეზიდენტის რანგში პირველად შევხვდები რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს. ვეტყვი იმას, რაც, ვფიქრობ, მან უნდა იცოდეს... ამერიკა დაბრუნდა! ჩვენთვის მთავარი დემოკრატიაა!.. პუტინს ვეტყვი ასევე, რომ, თუ რუსეთი გაანგრძელებს თავხედობას, სათანადოდ ვუპასუხებთ“, — თქვა ავიაბაზაზე ჯი ბაიდენმა.

„ბებერი ქალბატონის“ კონტინენტზე აშშ-ის პრეზიდენტს დღის წესრიგით ერთბაშად სამ სოლიდურ ღონისძიებაში ჰქონდა დაგეგმილი მონაწილეობა. ბაიდენის გამოსვლაში გამოჩნდა — ევროპაში მას ძირითადი ყურადღება შვეიცარიისკენ აქვს გადატანილი, სადაც რუს კოლეგასთან შეხვედრაა დაგეგმილი. სწორედ ამით არიან განაწყენებული ევროპელი პოლიტიკოსები, რომ ევროპაში ოფიციალურ ვიზიტს ბაიდენი პუტინთან შეხვედრისთვის იყენებს. თუმცა მისი წინამორბედი დონალდ ტრამპიც ფინეთის დედაქალაქში პუტინთან შესახვედრად „დიდი შვიდეულის“ სამიტიდან ჩავიდა ოთხი წლის წინათ. ტრამპი არც მალავდა, რომ G-7-ისა და ევროპის მიმართ გულგრილი იყო. ამჯერად ჯო ბაიდენმაც მიანიშნა, ვინ და რომელი შეხვედრაა მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი.

„დიდი შვიდეულის“ ქვეყნების მეთაურთა წლევანდელ სამიტს დიდი ბრიტანეთი მასპინძლობდა. სამეფოს პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი პირველი შეხვდა ჯო ბაიდენს ინგლისის კურორტ კორნუოლში. სახელმწიფოს მეთაურები მეუღლეებთან ერთად იყვნენ (ჯილ ბაიდენი მეუღლეს მარტოს იშვიათად ტოვებს). ჯო ბაიდენი აღფრთოვანებული დარჩა კარბის-ბეის ხედებით და განაცხადა: „ისე მომეწონა აქაურობა, სახლში დაბრუნება აღარ მინდა“. პოლიტოლოგების თქმით, ბაიდენმა ეს სიტყვები აშშ-ში არსებული მძიმე შიდა სიტუაციიდან გამომდინარე თქვა, რომლის გამოსწორებასაც დიდი დრო სჭირდება. ჯო ბაიდენმა თავისებური იუმორით მიულოცა ჯონსონს მესამე ცოლის შერთვა: „...მე და პრემიერს გვაქვს რაღაც საერთო — ჩვენი ცოლები ჩვენზე გაცილებით უკეთესები არიან“.

სამიტის მონაწილეები გაერთიანებული სამეფოს დედოფალმა ელიზაბეთ II-მ მიიღო. აღსანიშნავია, რომ ეს დედოფლისთვის პირველი საჯარო ღონისძიება იყო, რომელსაც იგი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ დაესწრო. ამერიკელების მიერ ეტიკეტის დარღვევის „ტრადიცია“ არც ჯო ბაიდენმა დაარღვია, რომელმაც დედოფალთან შეხვედრაზე 7 წუთით დააიგვიანა... სამეფო ოჯახმა სტუმრები ბოტანიკურ ბაღში მიიღო, სადაც მსოფლიოში არსებული უნიკალური მცენარეებია დარგული. აღნიშნეს ელიზაბეთ II-ის დაბადების დღე, რომელსაც 95 წელი შეუსრულდა. მართალია, დედოფალი ოფიციალურად 21 აპრილს არის დაბადებული, მაგრამ ტრადიციულად ზაფხულში აღნიშნავენ. ოჯახის სახელით სტუმრებს პრინცმა ჩარლზმა მიმართა. თავად დედოფალმა საიუბილეო ტორტი ხმლით გაჭრა. ერთობლივი ფოტოს გადაღებისას მან ინგლისური იუმორით მიმართა სტუმრებს: „...უნდა გამოიყურებოდეთ ისე, თითქოს საკუთარი თავით კმაყოფილები ხართ“.

განვლილ G-7-ის სამიტს ევროკავშირიდან ურსულა ფონ დერ ლაიენი და შარლ მიშელი ესწრებოდნენ. დიპლომატების შეხვედრის მსგავსად მეთაურთა სამიტზეც ინდოეთის, ავსტრალიისა და სამხრეთ კორეის წარმომადგენლები მიიწვიეს. ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ლონდონში არ აპირებდა ჩასვლას გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი. თუმცა ბოლო მომენტში გადაწყვიტა, დასწრებოდა სამიტს.

ღონისძიებაზე განიხილეს პანდემიასთან ბრძოლის, ეკონომიკის აღდგენის საკითხები — სამიტზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ G-7-ის ქვეყნები ერთი წლის განმავლობაში მსოფლიოს განვითარებად ქვეყნებს მილიარდ დოზა ვაქცინას მიაწვდიან. თუმცა ექსპერტები უკმაყოფილოები არიან. მათი შეფასებით, მილიარდი დოზა, ისიც ერთი წლის განმავლობაში, პანდემიასთან საბრძოლველად არაეფექტიანი იქნება, რადგან ამ რაოდენობით, თანაც 2022 წლის ბოლომდე, მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ 5% დაკმაყოფილდება. ბორის ჯონსონის განცხადებით, „დიდი შვიდეულის“ ქვეყნების ლიდერებმა უნდა გაითვალისწინონ 2008 წლის ეკონომიკური კრიზისის დროს დაშვებული შეცდომები და პანდემიის დასრულების შემდეგ ერთობლივი ძალებით იზრუნონ მსოფლიოში ეკონომიკის აღდგენისთვის.

საინტერესოა, რომ G-7-ის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრისგან განსხვავებით, ქვეყნების მეთაურებს რუსეთზე, ფაქტობრივად, არ უსაუბრიათ. სამაგიეროდ, ევროკავშირის ინიციატივით მიიღეს გადაწყვეტილება — ერთობლივი ძალებით წინ აღუდგნენ ჩინეთის მზარდ გავლენას მსოფლიო ეკონომიკაზე. ამის გარდა, მოიძიონ „აბრეშუმის გზის“ ალტერნატივა, რომელიც გულისხმობს „ერთი მატარებელი — ერთი გზა“-ს, ანუ, ჩინეთიდან ტვირთების პირდაპირ ჩატანას ევროკავშირისა თუ მსოფლიოს სხვა ქვეყნებში („აბრეშუმის გზის“ პროექტში საქართველოც არის ჩართული და ინიციატივის განხორციელების შემთხვევაში, შესაძლოა, ჩვენი ეკონომიკაც დაზარალდეს). რა პასუხს გასცემს ჩინეთი ამაზე, სავარაუდოდ, მალე გამოჩნდება.

უთანხმოება შეინიშნება G-7-ის ქვეყნებს შორისაც. განსაკუთრებით საფრანგეთსა და ბრიტანეთს შორის გამოჩნდა განვლილ სამიტზე დაძაბულობა. საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა პირდაპირ, მწარედ უსაყვედურა ბორის ჯონსონს — ბრიტანეთმა დატოვა ევროკავშირი და არა ევროპამ მიატოვა ბრიტანეთიო. კამათს ევროკავშირსა და დიდ ბრიტანეთას შორის ბრექსიტის შემდეგ ირლანდიის საკითხი იწვევს. მაკრონი არ ეთანხმება მოკავშირე ქვეყნებს სხვადასხვა საკითხებში. G-7-ის სამიტზე მან განაცხადა, რომ: „..ევროპამ თავად უნდა შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა რუსეთთან, ჩინეთთან და თურქეთთან თანამშრომლობისთვის“. უცნაურად გაისმა თურქეთის დასახელება, რადგან ახლო წარსულში მაკრონს საკმაოდ დაძაბული პირადი ურთიერთობა ჰქონდა პრეზიდენტ რეჯეფ ტაიფ ერდოღანთან. თუმცა დიდ პოლიტიკაში ყველაფერია მოსალოდნელი. „დიდი შვიდეულის“ ქვეყნების ლიდერებს ერთობლივი განცხადება არ გაუვრცელებიათ. სამიტი დასრულდა, მაგრამ ყველა კმაყოფილი დარჩა თუ არა, უცნობია.






ლონდონიდან ჯო ბაიდენი ბრიუსელში ჩავიდა, სადაც ნატოსა და ევროკავშირის სამიტებში მიიღო მონაწილეობა, თუმცა მსოფლიოს პოლიტიკოსების ძირითადი ყურადღება დღევანდელ, ჟენევაში რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრისკენ არის მიმართული. როგორ და რით დასრულდება ორი დიდი ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრა, უცნობია. ამას მხოლოდ მომდევნო დღეებში გავიგებთ. საბედნიეროდ, არ გამართლდა ცალკეული პოლიტიკოსების პესიმიზმი და აშშ-რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა გაიმართება, რაც მნიშვნელოვანია მსოფლიოს მომავლისთვის.

შეხვედრის დაწყებამდე ორივე მხარე საგულდაგულოდ, მონდომებით ემზადებოდა. აშშ-რუსეთს შორის რომ უნდობლობა სუფევს, საყოველთაოდ ცნობილია. თავშეკავებული განცხადებების მიუხედავად, ორივე პრეზიდენტის გამონათქვამებში სუსხი მაინც იგრძნობოდა. „...გვინდა, პროგნოზირებად ქვეყანასთან გვქონდეს საქმე. ჩვენზეა დამოკიდებული სამყაროს მომავალი“, — განაცხადა ჯო ბაიდენმა ლონდონში. თუმცა იმასაც ამბობდა, რომ რუსეთთან კონფლიქტი არ უნდა, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ძალის გამოყენებას არ გამორიცხავს. „...პუტინს ვეტყვი, თუ რომელიმე ქვეყნის სუვერენიტეტს საფრთხე დაემუქრება, ყურადღების მიღმა არ დარჩება“, — თქვა ბაიდენმა. მკვეთრ გამონათქვამებში განსაკუთრებით ჩინოვნიკები აქტიურობდნენ. ბრიუსელში სამიტის დაწყებამდე ნატოში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა დუგლას ჯონსმა განაცხადა: „...პრეზიდენტი ბაიდენი ნატოს სამიტზე შეეცდება ალიანსისთვის ტრამპის მიერ მიყენებული ტრავმების მოშუშებას. დაარწმუნებს წევრ ქვეყნებს, რომ აშშ ნატოს ერთგულია. რუსეთი კვლავ რჩება ნატოს მთავარ მოწინააღმდეგედ და პრეზიდენტი ბაიდენი უყოყმანოდ მიიღებს ზომებს, თუ რუსეთი რომელიმე წერტილში დესტაბილიზაციას შეეცდება“. დონალდ ტრამპმა არ გაუშვა შანსი ხელიდან და „დაარიგა“ ბაიდენი: „...ეცადე, შეხვედრაზე არ ჩაგეძინოს“.

თავის მხრივ, რუსეთის პრეზიდენტმა მოლაპარაკების წინ „წითელი ხაზები“ გაავლო, რომელთა გადაკვეთასაც არ დაუშვებს. მისი განცხადებით, რუსეთი აღარ დაუშვებს ნატოს გაფართოებას, მით უფრო, ალიანსში უკრაინის გაწევრიანებას. მან ტელეინტერვიუში პირდაპირ თქვა: „...უკრაინის ნატოში გაწევრიანებამ, ადვილი შესაძლებელია, რუსეთ-უკრაინის ომი გამოიწვიოს, რასაც აურაცხელი მსხვერპლი მოჰყვება, მათ შორის, მშვიდობიან მოსახლეობაში“. მსგავს მკვეთრ განცხადებებს პუტინი იშვიათად აკეთებს. თუმცა, ვნახოთ, რით დასრულდება ხანგრძლივი და დაძაბული შეხვედრა.

ამასობაში ისრაელში დასრულდა ბენიამინ ნეთანიაჰუს 12-წლიანი მმართველობა. ქვეყანას ახალი პრემიერ-მინისტრი ნაფტალი ბენეტი ჰყავს, რომელსაც დღემდე პოლიტიკურ წრეებში ცოტა ვინმე თუ იცნობდა. ქნესეთში კენჭისყრაზე ბენეტიმ ნეთანიაჰუს მხოლოდ ერთი ხმით აჯობა...

გია ბურდული
551 71 27 07

# ქართული ფეხბურთის რაინდი

## დავით ყიფიანი –70



**დავით ყიფიანი** – ეს მარტო სახელი არ არის, არც მარტო ისტორიაა, ეს არის ემბლემა, რომელიც საკუთარ თავში აერთიანებს სამივე დროს და რაც მთავარია, არ კარგავს სინათლის ძალას, პირიქით, რაც დრო გადის, უფრო ივსება შუქით და რაღაც მისტიკური შინაარსით. მასზე იმდენი რამ არის ნათქვამი და დაწერილი, ძნელია, რამე შემატო მის მდიდარ ბიოგრაფიას... ამჟამად თქვენი ყურადღება მინდა გავამახვილო იმ ცხოვრებისეულ ფაქტებზე, რომელიც საინტერესო უნდა იყოს დღევანდელი თაობებისთვის, იგი ღირსეული კაცი იყო საფეხბურთო მოედანზე და



არანაკლები შთამბეჭდავი, ბობოქარი ცხოვრებით იცხოვრა მოედნის გარეთაც.

### თანაგრძნობის გაკვეთილი

1979 წლის 11 აგვისტოს საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში საშინელი ტრაგედია დატრიალდა, მინსკში კალენდარული მატჩის ჩასატარებლად მიმავალი ტაშკენტის „ფახთაქორის" გუნდი ავიაკატასტროფაში დაიღუპა. ტრაგედია მართლაც შოკისმომგვრელი იყო. საკავშირო სპორტკომიტეტმა შეღავათები დაუწესა გუნდს, რომელიც სასწრაფო წესით სხვადასხვა გუნდების მოთამაშეებით შეავსეს, მათ შორის იყო თბილისის „დინამოელი" – ზურაბ წერეთელი. ტრაგედიის შემდეგ ტაშკენტის გუნდმა პირველი მატჩი საკუთარ ქალაქში, 1979 წლის 27 აგვისტოს ჩაატარა, მეტოქე თბილისის „დინამო" იყო. სტადიონზე უამრავი დამწუხრებული გულშემატკივარი მივიდა. საყურადღებო ინფორმაცია გაჟღერდა ტრაგედიიდან 30 წლის შემდეგ, რომლის ავტორი ვეტერანი ტაშკენტის გუნდის წევრი ტულიაგან ისაკოვი გახლდათ: "ჩამოსვლისთანავე ქართველები სასაფლაოზე წავიდნენ და ყვავილებით შეამკეს დაღუპულთა საფლავები, საღამოს კი მოედანზე გამოვიდნენ სათამაშოდ. შეუდარებელმა დავით ყიფიანმა დასაწყისშივე გაგვიტანა ბურთი, შემდეგ უპირატესობა დაგვითმეს და ორი ბურთის გატანა შევძელით. დავით ყიფიანმა მოედანზე გვითხრა, აქ მოსაგებად არ ჩამოვსულვართ და ვერც მივცემდით თავს უფლებას მთელი ძალით გვეთამაშა, ამ გამარჯვებამ ჩვენს გულშემატკივრებს ოდნავ შვება მოგვცა, მატჩის შემდეგ მთელი სტადიონი ფეხზე წამოდგა და მქუხარე ტაშით გააცილა თბილისელები, რომლებმაც ღირსეულად მოიხადეს ვალი გარდაცვლილი კოლეგების წინაშე! მადლობა, დიდებულ, ქართველ ბიჭებს!"

დამეთანხმებით, ამაღელვებელი მოგონებაა, რომელიც თვალზე ცრემლს მოგადენს; მადლობა მათ ღირსეული საქციელისათვის. ბარაქალა ტულიაგან ისაკოვსაც, რომელმაც ღირსეულად დააფასა დიდებული კაცები დავით ყიფიანის თავკაცობით.

### უცნობი კომბინაცია მოედნის გარეთ

დავით ყიფიანი ძალიან პოპულარული იყო მეგობრებში, არაფერს დაიშურებდა მათი კეთილდღეობისათვის, ამას ისე აკეთებდა, სხვისი ღირსება რომ არ შელახულიყო. მწვრთნელობის პერიოდში მისი მეგობარი უმუშევარი იყო, დათომ იგი თავისთან წაიყვანა და პერსპექტიული ფეხბურთელების შერჩევა დაავალა. ისიც ჩაერთო საქმიანობაში, დეტალურად აცნობდა მწვრთნელს მოპოვებულ ინფორმაციებს. „სელექციონერი" მშვიდი სინდისით მიდიოდა ხელფასის ასაღებად. ერთ დღესაც დავით ყიფიანმა სამწვრთნელო კარიერა უცხოურ კლუბში გააგრძელა და მისმა მეგობარმა მხოლოდ ამის შემდეგ გაიგო საოცარი ამბავი, რომ მისი თანამდებობა არ არსებობდა, იგი დათო ყიფიანმა თვითონ მოიგონა, ხარჯსაც საკუთარი ჯიბიდან იღებდა, რომ გაჭირვებულ მეგობარს გვერდით დადგომოდა.

### ამხანაგური მატჩი მეგობრის დასახსნელად

გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში დიდი გაჭირვება და ქაოსი იყო, ბევრმა ქართველმა თავის გადარჩენის მიზნით არჩევანი ბიზნესზე გააკეთა, თუმცა ამ დროს ქვეყანაში მოქმედებდა „მგლური კანონები", ხშირი იყო „გადაგდებაც" და „გადმოგდებაც", რომელიც ბევრ შემთხვევაში არასასურველი შედეგით მთავრდებოდა. სწორედ ასე დაემართა ვეტერან ფეხბურთელს – რეზო ჩელებაძეს. იმ პერიოდში სარფიანი იყო სპირტის ბიზნესი, მთავარი საკვანძო ხაზი ჩრდილოეთ ოსეთი იყო. ველური კონკურენციის პირობებში ახლად დამწყებ ბიზნესმენს ვლადიკავკაზში ხაფანგი დაუგეს და წინასწარი დაკავების იზოლატორში მეტად მძიმე ბრალდებით გამოკეტეს. მისი დახმარება ვერც ვალერი გაზაევმა შეძლო, რომელიც იმ ხანად ვლადიკავკაზის გუნდს წვრთნიდა. ეს ამბავი დავით ყიფიანმაც გაიგო, რომელმაც ისე მოაწყო საქმე, რომ ვლადიკავკაზის და თბილისის „დინამოს" ამხანაგური მატჩი დაგეგმა, მატჩზე დასასწრებად ჩრდილოეთ ოსეთის მაშინდელი პრეზიდენტი ახსარბეკ გალაზოვიც მოიწვია. მატჩის შემდგომ ბანკეტზე მას ქართველი კოლეგა ედუარდ შევარდნაძე დაახვედრეს, ორივე პრეზიდენტს დავით ყიფიანი, ვოვა გუცაევი და საშა ჩივაძე ეახლნენ. გალაზოვი ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი გახლდათ. რამოდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ დავით ყიფიანმა მთავარი სათხოვარი გაანდო – ჩვენი მეგობარი გყავთ ციხეში და გთხოვთ, გაათავისუფლოთო...

გალაზოვს ბევრი არ უფიქრია და ვლადიკავკაზში შესაბამის უწყებებს დავალება მისცა, ამაღამ, სანამ ჩამოვფრინდებოდე, იმ ქართველის სუფთა დოსიე ჩემს მაგიდაზე იდოსო! დავით ყიფიანმა ორივე პრეზიდენტს მადლობა გადაუხადა. ჩელებაძე მეორე დღეს ოჯახს დაუბრუნდა.

### „სასწრაფო" დახმარება უცნობს

90-იანი წლებია, დათო ყიფიანი „დინამოს" მთავარი მწვრთნელია, გუნდი მოსკოვიდან თანამეგობრობის თასის გათამაშებიდან ბრუნდება საქართველოში, რეისი შუაღამისას არის დანიშნული დომოდედოვოს აეროპორტიდან, საპასპორტო კონტროლის შემდეგ დავით ყიფიანს სრულიად უცნობი ქართველი მუხლებში ჩაუვარდა, – შენი ჭირიმე, დათო, უნდა მიშველო, პატარა ბიზნესი მაქვს, საქონელი წამართვეს და მებაჟეები 5000 დოლარს ითხოვენო. ამ დროს ჯიბეში ამხელა თანხა არ ჰქონდა, თან ღამის სამი საათია, დათომ ტელეფონი ამოიღო და წარსულში ცნობილ ფეხბურთელს რინატ დასაევს დაურეკა, მოუბოდიშა გვიან შეწუხებისათვის და კონკრეტულად 5000 დოლარი სთხოვა. ერთ საათში რინატ დასაევი იანვრის სუსხიან ღამეში მოვიდა აეროპორტში და აღნიშნული თანხა მოიტანა. დათომ თვითმფრინავში ასულ მგზავრებს და ეკიპაჟის წევრებს მოუბოდიშა და თავის სავარძელში ჩამჯდარს უშფოთველად ჩაეძინა. თბილისში ჩამოფრენილმა ყიფიანმა დასაევი ერთხელ კიდევ შეაწუხა და მოსკოვში მისი ანგარიშის ნომერი ამცნო, რომლიდანაც დასაევი 5000 დოლარს აიღებდა.

მართლაც ჟრუანტელის მომგვრელი ამბავია, დათო ყიფიანის, საფეხბურთო ტალანტის შემყურეს თურმე არანაკლები კაცობის და სიკეთის კეთება შესძლებია მოედნის გარეთ, აფერუმ მის ვაჟკაცობას: „აქაც კარგი კაცი იყავ, იქ ნათელი დაგადგესა"!

რომ არა ავბედითი 2001 წლის 17 სექტემბერი, საქართველოს ღირსეულ მოქალაქეს დავით ყიფიანს 2021 წლის 18 ივნისს 70 წლის იუბილეს მიულოცავდა სრულიად საქართველო!

ნათელი და სანთელი, დიდო მაესტრო!

**ბეჟან ჩხეიძე**
555 41 97 33

# დაგვბადე, ღმერთო!



ღმერთი — ყოვლის შემოქმედი, „ღმერთი არს სული ნათელი, დაუსაბამო და მიზეზი ყოველთა დასაბამიერთა და დამბადებელი ყოველთა"... „ღმერთი არს სიყვარული", ღმერთი — სიკეთე...

სიყვარულის, სიკეთის გზით ვიდოდა ქართველი კაცი ღმრთისაკენ, ზნეობრივი სრულყოფისაგენ, ჩვენი უფალი, ქრისტიანული სარწმუნოება სიყვარულის და სიკეთის გზით შთაგვაგონებდა სიარულს, საუკუნეების მანძილზე რწმენა აქანდაკებდა მაღალზნეობრივ ფენომენს ჩვენი წინაპრისას, რომელსაც ილია „სავსე კაცს" უწოდებდა, ხოლო ვაჟა-ფშაველა — „კაი ყმას". უცხო ლაჟვარდებისაკენ მაცქერალი ღმერთისკენ მიმავალი „სავსე კაცი", „კაი ყმა", „ქმედი ამა სოფლისა", ახარებდა და უვლიდა ვაზს, აგებდა ხახულსა და ხანძთას, ოშკსა და ბანას, ჯვარსა და სვეტიცხოველს, წერდა „ვეფხისტყაოსანს"... ქმნიდა იმ საგანძურს, რასაც ქართული კულტურა ჰქვია.

რწმენამ და მაღალი იდეალების მსახურებამ შექმნა მძლავრი ქრისტიანული საქართველო, ჰუმანიზმისა და რენესენაულ იდეათა ცხოვრებაში პირველი განმახორციელებელი.

ერთ დროს მორწმუნე ერს, ჩვენდა საუბედუროდ, როგორც ეს ხშირად ხდებოდა, ურწმუნოების ბაცილა შეჰყრია. ინგრევა წინაპართა მიერ საუკუნეების მანძილზე ნაშენებ-ნაგები ზნეობრივი



ციხე-გალავანი, უცხო ძალები დემოკრატიის ნიღბით უტევენ დღემდე მოღწეულ ჩვენს გადამრჩენელ უძველეს ტრადიციებს.

თუ გადარჩენის ინსტინქტი მაინც შეგვრჩენია, გავხდეთ ჭეშმარიტი მორწმუნენი, ღვთის ნების აღმსრულებლები, მეტი გულისყურით ვუსმინოთ ჩვენს სულიერ მამას!

დაგვბადე, ღმერთო, კარგ ყმებად და სავსე კაცებად!..

**ირაკლი ვაშაყმაძე**



## ეკა ბაქრაძე

# ლექსები

### მამის ხსოვნას

თოვლმა მოწყენილ ხსოვნის ნალიას
გადააფარა თეთრი ნაბადი,
რაც მაბადია, შენი კვალია, -
თოვლივით წრფელი და თვითნაბადი...
ჩემთვის რომ დაგრჩა გაუკვალავი,
იმ ბილიკს მძიმედ, კირთებით ვკაფავ,
თოვს...უსასრულო და უთვალავი
ეცემა ფიფქი მშობლების საფლავს...
თოვლი სათუთადართავს საჩეჩელს, -
როგორც ზღაპარში - გოგო ობოლი,
სული სარჩულით შემომაჩეჩეს
და ვეღარ ვარჩევ ცხადს და მოგონილს...
ჩემცივნულ კედლებს იტკიებს კერა
და ჩაეწმინდა ბუხარს სასულე,
მარადისობის ბავშვივით სჯერა
თოვლს...და ფიფქების გამას ასრულებს...

### ყმაწვილკაცობისკენ ახლადფეხადგმულ შვილს

**„საულვაშეზე გაუჩნდებათ ღინღლი და მალე,**
**საიალაღოდ გაიწევენ, როგორც ხარები...“**

ზურაბ კუხიანიძე

საიალაღო სურვილებს მალავ
და ღვინობისთვე გეღვრება მაჭრად...
ახლა ვიხსენებ პატარა წალამს, -
შენს სადღეობოდ, პაპამ რომ აჭრა.
ის ლერწმის ღერო ვაზია უკვე -
გადაწიდნული მწიფე მტევნებით,
იმ უცხო სურნელს საკმეველს უკმევს,
შენ რომ ჯიუტად აედევნები!..
ღვინობისთვეა...დგას თავმომწონედ
და დედამიწის ივსება ვარცლი,
ქარით აწეწილ ქარვის კოწოლებს
მზეს, წვიმა, სველი თითებით ვარცხნის...
ბევრის მომსწრე და მრავლის მნახველი,
მაჭარს სისხლივით წამოახველებს, -
ბერიკაცივით დგას საწნახელი
და შემოდგომა ისევ ახელებს...
მზეჩამდგარ მტევნებს ბანივით ბეკნი,
ჩურჩულით გლოცავს აჩრდილი პაპის,
შენთვის შექმნილი,ადამის ნეკნით,
ვიღაც ვარდისფერ მირაჟებს ჩხაპნის...
საულვაშეზე გიღიმის ღინღლი,
ჯერ შეუცნობელს გკარნახობს ალღო,
აწყვეტილ წვივებს სწორებთან იღლი,
ნავარდი გიხმობს,საიალაღო!..
ვიდრე წვეთ-წვეთად ივსება საწდე,
გამითეთრდება თოვლით კაწაწი,
უფალს ვედრებას ზეცამდე ვაწვდენ, -
შენზე ლოცვით და სულის კაწკაწით...
სამყაროს ხსენი გასვი კერტებით
და ცალუღელამ გზარდე,ჩაუქად,
მანამდე,მე არ დაგიბერდები,
მზეს ერთი სხივიც თუ არ ჩაუქრა!..

***

ჭა დაშრა... ჩატყდა ცხოვრების გვიმი,
შემოეჩვია ფუძეს ძანძახი,
სამყარო, მწარეს, იკავებს ღიმილს
და განსაცდელიც ავად დამძახის...
დაღლილ სახეზე ვიფარებ ნიღბებს,
დაზაფრულ ზღუდეს ვუგოზავ ბზარებს,
პირქუში ორმო წლებივით მიღრენს,
პირქარი ზათქით ამინდებს არევს...
ცარიელ კერას ცრემლებით ვალტობ,
ცხოვრების ცრუ მარშს ნაბიჯებს ვუწყობ...
და ვავსებ თმენის ფიალას, მარტოდ,
უმისამართოდ, უხმოდ და უწყლოდ...
ჭა დაშრა!..

***

სუბსარქისის ღამეა — სურვილებით გულუხვი,
სულს უბერავს არევიკ მარილიან მადაურს,
სიზმრად უნდა შემასვან წყალი, თურმე, თულუხით,
ბედი ვისთან წამიყვანს, ანდა — საით, სადაურს?
მარიგებდა მზრუნველი, დაზე ტკბილი დობილი,
ჰქონდა ვარდის სურნელი სიზმარეულ ინანთებს.
— ის გახდება საბედო,
— შენებრ ბედს მინდობილი,
წყალს ვინც გამოგიწოდებს მანამ, სანამ ინათებს!
უწინდელი ცეტობის მოგონებებს ვადედებ,
სუბსარქისის ქარებმა იხმეს პაროქსიზმები —
ამ ცხოვრების სცენაზე არშემდგარი პა-დე-დე
და წარსულს შეხიზნული არნახული სიზმრები...
ჩამიქროლა თეთრონმა ულაგამო აღვირით,
თრიმლი თვლემს და ტოტებზე
თოვლის თექა თამთამებს,
წლების თეთრად თქარუნში,
ზამთრის ციდან დაღვრილი,
თრთვილი ეთამაშება შემორჩენილ თავთავებს.
სუბსარქისის ქარია, ჩაუხერგავს ვიწრობი,
დინჯი ათასწლეული სიწრფოებას იწონებს,
ახალ ვიბრაციებით რკინასავით ვიწრთობი,
სადღაც მზე იბადება — უკუნის საპირწონე!..
**P. S.** უკვე ობი მოედო მარილიან მადაურს,
ჩაირბინა საბედომ, ბაჩასავით, ბზაკუნით,
— არსად არ წამოგყვები, სადაური — სადაურს,
ბედო, აღარ გაბედო ჩანაფიქრი მზაკვრული!

***

თუ ამ ცხოვრების აბრაკადაბრა
და ბილიკების აბლაბუდები
იკვეთებიან ღრუბლებზე მაღლა, —
იმ გზებით უკან არ დაბრუნდები!
როგორც ფრინველის ხმელი ფიტული,
არც ცას, არც მიწას აღარ ეკუთვნი,
საკუთარ თავსაც, თოჯინასავით,
ჭრელი ჭინჭებით ვეღარ შეფუთნი...
ახლა მეგუთნის უტყუარ გუმანს
ვერ მიეყრდნობი ქედზე ხარივით,
თუ მუხლებამდე აბიბინდება
ბალახი, შენი ნასახლარივით...
დღეს, ცხოვრებისგან ასე დაღლილი
და ხვალ, სრულიად გამოფიტული,
დახვალ... არც მიწას, არც ცას ეკუთვნი,
არც ჰაერში ხარ გამოკიდული!..
არ ხარ, საერთოდ აღარ არსებობ!
ეს მერამდენედ, მწარედ რწმუნდები,
ამ გზით ვეღარც წინ, ვერც უკან წახვალ,
ვერც საკუთარ თავს დაუბრუნდები!..

### დაბრუნება საკუთარ თავთან

ნუ მოუნაცვლებ პირვანდელ ადგილს ნივთებს,
რომლებმაც დიდი ხანია მყუდროობაში დაისადგურეს.
დრო სინქრონული სიზუსტით ადგენს
სად, რას და როდის გამინადგურებს...

ჩარჩო სურათით, ვერცხლის შანდალი და
ფაიფურის ძველი თოჯინა...
ვით ბარიერი ჩემი შენდამი,
ისევ მყარად დგას,
მაგრამ... მორჩილად.

ლარნაკი გატყდა, სარდაფის სარკეს სალტე
მთლიანად შემოეცალა,
ჩემი ბრალია, აქამდე უნდა მიმეხედა
და გამომეცვალა...

მაღალი სკივრი უამრავ წვრილმანს
ძველი ჭორივით გადაუვსია,
მონატრებული მზესა და წვიმას
ქოთნის ყვავილი უბრად ყუნცია.

სხვადასხვა ზომის ფერად ნიჟარებს ზედ
შეხმობიათ ზღვათა სიმლაშე.
ტალღებმა ხილვა ვერ წამიშალეს...
ძველი დარდივით მოდის სიზმარში
პატარა გოგო...

სანაპიროსთან, ქვიშაზე მზეს
რომ ჯიუტად ხატავს,
მერე ძალუმად მოვარდნილ
ტალღას ზღვასთან მზესა და
სინათლეს ატანს!..
ხატავს და ხატავს,

ატანს და ატანს...
ვერ გაუთავდა, არ დაიღალა,
უკიდეგანო ტალღების მიღმა
ვიდრე მზესავით არ დაიღვარა!...

### ვარსკვლავთცვენა

შემომეჩვია გაუცინარ დღეთა სალმობა,
იმედებს ვკემსავ ყუნწმაგარი, ბრტყელი მახათით.
ყოველგვარ ტკივილს შესატყვისი უნდა წამლობა,
მე კი ტკივილით საუფლოში უღვთოდ დავხანდი.

ვინ იცის, იქნებ მილიონი სინათლის წელი
ცითგან დაღვრილი ნათლის სვეტი ჩემად მოსული
იყო მარტოდენ ანარეკლი, რაღაც ღვთიური
იდუმალებით საუკუნოდ გარემოცული.

ის ვარსკვლავი კი (რას გაიგებ) ვაითუ ჩაქრა,
ვაითუ მოსწყდა ცის კიდეს და მწუხრში შთაინთქა,
იქნებ აუხდა საწადელი პატარა გოგოს,
ვარსკვლავთცვენის ჟამს იდუმალ რომ გულში ჩაითქვა.

აუჰ, დაღვრილა მილიონი სინათლის წელი,
ნათლის ჩქერალი ალბათ ისევ ისე გზაშია,
ნატვრისფერ ტკივილს ვარსკვლავთცვენა ისევე შვენის,
ახლა ის გოგო გულუბრყვილო, დიდი ბავშვია.

ნატვრაც ჟამივით გამოხდება, ალბათ, ახდება
ვარსკვლავთცვენის და იდუმალი სულის მისნობა,
და სამყაროსაც ნუგეშივით ჩაუსახლდება
დაღლილ თვალებში გამომკრთალი მარადისობა!

# ჩინტამანი – აზროვნების ძვირფასი ქვა და რვა უკვდავის ქალაქი



ჩინტამანი "აზროვნების ძვირფასი ქვა" ნახსენებია მრავალრიცხოვან გადმოცემებში, ლეგენდებში, ასევე რელიგიურ და საერო ტექსტებში, როგორც ძველ აღმოსავლურ, ასევე თანამედროვე ხელნაწერებსა და წიგნებში. მას აიგივებენ გრაალის ზეციურ ქვასთან, ვინაიდან ისიც დედამიწაზე ჩამოტანილია წარღვნამდელ პერიოდში. ამბობენ, ჩინტამანი გამოჭრილია მოელვარე შავი მინერალისგან და თავიდან მრავალწახნაგოვანი იყო. ამავე დროს, იმასაც ხაზს უსვამენ, რომ ჩვენეული ხედვითა და გაგებით მთლად ქვაც არაა. მეცნიერები ვერ შესძლებდნენ მის ყოველმხრივ შესწავლას, ვინაიდან ის ნაწილობრივ არსებობს იმ დროისა და სივრცით





განზომილებაში რომელსაც აღვიქვამთ. ქვა ასოცირდება ქალურ საწყისთან და აღნიშნავს ქალის ეპოქას-სამყაროს დედის ეპოქას. ჩინტამანი ფილოსოფიური ქვის ანალოგია. არაბებისთვის ასეთია "ალ-აქსირი" — ბრძენთა ქვა. ჩინტამანი ნახსენებია მოთხრობაში ინდრას ქსელზე-უზარმაზარი ქსელი უსასრულო კვანძებით. თითეულ კვანძში ძვირფასი ქვაა. რა ნამდვილი მოვლენები და ობიექტებია "დაშიფრული" ამ მომხიბვლელ ძველ ლეგენდებში და რა მიზანი ჰქონდა მათ, მკვლევარებმა ჯერჯერობით ვერ გაშიფრეს.

პირველ რიგში, რას წარმოადგენს ინდრას უზარმაზარი ქსელი? რისთვისაა მათში ძვირფასი ქვები? არის თუა რა ეს მხოლოდ მეტაფორა სიცარიელის აღწერისთვის ბუდისტური ფილოსოფიიდან ან კიდევ სხვა რამ? ინდრას ქსელის ილუსტრაციას თუ მოვახდენთ, მაშინ მივიღებთ რაღაც ტექნოლოგიურ-ფანტასტიკურს უამრავი ბუშტებით, რომელიც ჰგავს მრავალგანზომილებიან ქსელს. როგორ მოახერხეს ეს ათასი წლის წინ?

ინდრას ქსელი პირველად ნახსენებია ძველ ვედებში. ამავე ვედების თანახმად, ჩინტამანის ქვა არამარტო ინდრას ქსელში იყო, ინდრა იყო თავად პირველად მისი მფლობელი. მაგრამ როცა მოგვიანებით ზეცაში დიდი ბრძოლა ატყდა, ჩინტამანის ქვა ჩამოვარდა დედამიწაზე და აქ დარჩა, რაც მის არამიწიერებაზე მიანიშნებს. დედამიწაზე ჩინტამანის ქვა იქცა სურვილების ასრულების ქვად. ტიბეტურ ბუდისტურ ტრადიციაში ჩინტამანს გამოსახავენ როგორც მბრწყინავ მარგალიტს.

მოგვიანებით, ინდუისტურ მრავალ ღმერთს გამოსახავდნენ ჩინტამანის ქვით ხელში, რაც მიანიშნებდა იმაზე, რომ ღმერთებს შეეძლო ადამიანთა სურვილების ასრულება. ხშირად ქვას გამოსახავდნენ ვიშნუსა და განეშას ხელში.გადმოცემით, ისტორიის გარდამტეხ დროს ეს ქვა ჩნდება იმ ქვეყნებში და იმ გმირთა ხელში, ვისაც ძალუძს ადამიანის ევოლუციაზე ზეგავლენის მოხდენა. ამ ქვას ფლობდნენ მეფე სოლომონი, ჩინეთის პირველი დინასტიის იმპერატორი ცინი, ალექსანდრე მაკედონელი. თითქოს ამ ქვის ერთი ფრაგმენტი ტიბეტიდან გააგზავნეს იერუსალიმში მეფე სოლომონთან, რომელმაც ის ოთხ ნაწილად დაყო. ერთით მას ბეჭედი დაუმზადეს, ხოლო დანარჩენი სამი წინასწარმეტყველმა მუჰამედმა, ათას ხუთასი წლის შემდეგ, წაიღო მექაში.

ქვის ამ სამ ფრაგმენტს უხსოვარი დროიდან თაყვანს სცემენ მუსლიმები. მათ სწამდათ ქვის არამიწიერი წარმოშობის. გადმოცემით, ქვები დამალულია ქააბის შიგნით — უძველეს სალოცავში, რომლის გარშემო მოგვიანებით



აიგო დიდი მეჩეთი. სამხრეთ ამერიკაში არსებობს ამ თქმულების განსხვავებული ვერსია. ლეგენდის მიხედვით, ღმერთმა ტვაირამ ტიტიკაკას ტბაში ააშენა ტაძარი, სადაც ინახებოდა სამი წმინდა ქვა კალა. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად კი, წარსულში, როცა ქვა გამოვლინდა ხელდასმულებისთვის, სამ ნაწილად გასკდა. ახლო წარსულში მისი ერთი ნაწილი ინახებოდა განმარტოებულ ტიბეტურ მონასტერში, მეორე-ნიუ-იორკის ბუნებრივი ისტორიის მუზეუმში, მესამე-შამბალაში. ბუდისტური გადმოცემებით, ჩინეთისა და ტიბეტის საზღვარზე, მთების ქვეშ, მიწის სიღრმეში ცხოვრობს რვა უკვდავი. ეს ადგილი მდებარეობს ტიბეტის დედაქალაქ ლჰასთან ახლოს. მთებში იქ მისასვლელი გვირაბებია გაყვანილი.

ზოგიერთი ისტორიკოსი წერდა, რომ ჩინტამანის ქვას შეუძლია გზამკვლევის როლი შესრულება რვა უკვდავის ქალაქისკენ. ადგილობრივები ამბობენ, რომ მთის უზარმაზარი მასივის ქვემოთ მდებარეობს აკლდამა, სადაც უხსოვარი დროიდან ინახება აურაცხელი განძი. ტიბეტში არსებობს ძველი ლეგენდა ჩინტამანის ქვაზე, რომელიც თითქოს ორიონის თანავარსკვლავედიდანაა ჩამოტანილი. უთითებენ დროსაც კი, ჩვენ წელთ აღრიცხვამდე მეცხრე საუკუნე. ფრთებიანმა ცხენმა ლუნგტმა, რომელსაც შეუძლია სამყაროს გადაკვეთა, მოიტანა ზარდახშა ოთხი წმინდა ნივთით, რომელთა შორის იყო ჩინტამანი. ქვის მასალა "სხვა სამყაროდანაა" და მისი "შინაგანი სიმხურვალე" ახდენს ძლიერ ფსიქოლოგიურ გავლენას ადამიანზე. საკუთარი თვისებების შეცვლით შეუძლია მომავალი მოვლენების წინასწარმეტყველება.

ჩინტამანი არის მთავარი ქვის ფრაგმენტი, რომელიც ჰიმალაებშია და არის კოსმიური მაგნიტი. მას გააჩნია ზემოქმედების უზარმაზარი ძალა ადამიანთა ცნობიერებასა და სულიერებაზე. მისი ყველაზე მიუწვდომელი და საიდუმლო თვისებაა ენერგეტიკული რიტმი. ესაა ჩვენი სამყაროს გულის რიტმი, რომელიც ორიონის თანავასრკვლავედის სივრცეშია. ქვა ჩინტამანი ხელით შექმნილ არტეფაქტზე უფრო მეტია, ვინაიდან ის პირობითი კარის გასაღებიცაა, რომელიც დაიხურა ადამიანებისთვის შორეულ წარსულში. არსებობს მონაცემები, რომ ლამაისტური მონასტრის წინამძღვარმა ტრასილუმპომ ნიკოლოზ რერიხს, მისადმი დიდი პატივისცემის ნიშნად, გადასცა ჩინტამანის პატარა ნატეხი, რომელიც ორიონის ახლოს მდებარე სირიუსიდან იყო ჩამოტანილი. ბუდისტურ ტექსტებში ნათქვამია: "როცა მზის შვილი დაეშვა დედამიწაზე კაცობრიობის განათლების მიზნით, დედამიწაზე დაეცა ფარი, რომელმაც მოიცვა სამყაროს მთელი ძალა."

ქვა რერიხთა ხელში 1923 წელს მოხვდა და თითქოს ამ ნაჭერში იყო გახვეული. მოგვიანებით, ელენე რერიხმა შეისწავლა ქვა და აღმოაჩინა მასზე ამოუცნობი სიმბოლოები. შესწავლის შემდეგ, მივიდა დასკვნამდე, რომ წარწერა გაკეთებული იყო სანსკრიტის ძველ ნაირსახეობაზე და გაშიფრა ის შემდეგნაირად: "ჩემი გზა ვარსკვლავებს შორის იყო გადებული. მოვიტანე ფარით დაფარული ბარძიმი და ასევე განძი, ორიონის საჩუქარი". თანამედროვე ისტორიკოსი უილიამ ჰენრი თავის წიგნში წერს, რომ ფრანკლინ რუზველტი ნიკოლოზ რერიხის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, რომელსაც სწამდა ატლანტიდის რეალური არსებობის. არსებობს ცნობები, რომ ამერიკაში ბედის ქვა ჩაიტანეს, რომელიც ორიონიდან მოხვდა დედამიწაზე.



ლეგენდის თანახმად, ქვა ატლანტიდის მმართველთა ხელში იყო, შემდეგ მეფე სოლომონთან აღმოჩნდა. ის დამალეს კოშკში, შამბალაში (ტიბეტი). ელენე რერიხი თავის მოგონებებში, რომელსაც მისი დღიურიდან ვგებულობთ, ამბობს რომ საკუთარი თვალით ნახა ბალიშზე განთავსებული ეს ქვა. ბალიში მარმარილოს ფილაზე დევს. საცავი გამოქვაბულშია მიწის სიღრმეში. ქვის ენერგეტიკული რიტმი იგივე კოსმიური მაგნიტის რიტმია, ანუ სამაყროს გული, რომელიც მდებარეობს ორიონის თანავარსკვლავედის სივრცეში. ელენა რერიხის თქმით, ქვა ატლანტიდის ერთ-ერთი მმართველის მფლობელობაში იყო, რომელსაც ის ქმრის ზემოთ ატარებდა. ქვა რადიუმზე უფრო ძლიერ ასხივებდა, მაგრამ სხვა სიხშირე ჰქონდა. რერიხს მიაჩნდა, რომ ჩინტამანის ქვა წარმოადგენს ფსიქიკური ენერგიის აკუმულატორს, რომელსაც ეწოდება "შუგი". შეხებისას ადამიანი ისეთ სულიერ ძალას, შემეცნებისა და ნათელხილვის უნარს შეიძენს, შეძლებს რვა უკვდავის ქალაქის დანახვას. გადმოცემით, ეს ქვა რერიხმა 1946 წელს დაუბრუნა ტრასილუმპოს.

კოსმიური მაგნიტის სუნთქვა ან რითმი გავლენას ახდენს სამყაროების დაბადებასა და დაღუპვაზე. ამიტომ ნებისმიერი კოსმიური ქმედება უნდა მიმდინარეობდეს მისი რეჟიმით, სხვაგვარად ის არ მოიტანს სასურველ შედეგებს. ქვაში უდიდესი სუნთქვის ნაწილია-ორიონის სულის ნაწილი. როცა შენთანაა, ორიონის თანავარსკვლავედის საშუალებით ის ასიმილირდება შენს რითმთან. აღმოსავლეთი სავსეა ლეგენდებით ორიონის შესაძლებლობებზე, ამიტომ აზიის ხალხები ყველგან ეძებენ მას.

მარიამ ჯანჯღავა
511 17 73 72

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია



„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კევლიშვილი
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

**— მსურს, შევიცვალო გვარი. მაქვს თუ არა, ამის უფლება და რა პროცედურები მექნება გასავლელი?**

— გვარის შეცვლის უფლება გაქვთ. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოში სახელისა ან/და გვარის შეცვლის უფლება აქვს:

1.საქართველოს მოქალაქეს;

2.საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლის დაბადება რეგისტრირებულია საქართველოში (გარდა დაბადების ხელახალი რეგისტრაციისა);

დაინტერესებულმა პირმა სახელის ან/და გვარის შეცვლის რეგისტრაციის მოთხოვნით უნდა მიმართოს

1. იუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალს;

2. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს;

3. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებას.

აქვე, მოგახსენებთ სახელის შეცვლის შესახებაც:

სახელის შეცვლა შესაძლებელია დაინტერესებული პირის სურვილისამებრ.

სრულწლოვან პირს უფლება აქვს შეიცვალოს სახელი მხოლოდ ერთხელ.

სახელის შეცვლა დაუშვებელია, თუ განმცხადებელი სახელად ირჩევს ციფრებს, სასვენ ნიშნებს, გეომეტრიულ ფიგურებს, გრაფიკულ გამოსახულებებს, სიმბოლოებს, უცენზურო ან შეურაცხმყოფელ სიტყვებს ან მრავალწევრიან (ორზე მეტი სახელისაგან შემდგარ) სახელს.

რა შემთხვევაშია შესაძლებელი გვარის შეცვლა?

პირს შეუძლია შეიცვალოს გვარი და მიიღოს:

მშობელთა შეერთებული გვარი;

პირდაპირი აღმავალი შტოს ნათესავის გვარი (მეოთხე თაობის ჩათვლით);

საკუთარი გვარისა და პირდაპირი აღმავალი შტოს ერთ-ერთი ნათესავის გვარის გაერთიანების შედეგად მიღებული გვარი;

ფაქტობრივი აღმზრდელის გვარი;

მშვილებლის გვარი;

ქორწინებამდელი გვარი, თუ ქორწინების შეწყვეტისას მას არ დაუბრუნებია ეს გვარი;

სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ მინიჭებული გვარი, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დაბადების აქტი რეგისტრირებულია საქართველოში და სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ ამ პირისთვის სხვა გვარის მინიჭების შემდეგ მან საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვა.

ასევე, დაინტერესებულ პირს შეუძლია:

აღიდგინოს ისტორიული გვარი;

მოახდინოს მისი გვარის კანონიერად აღიარება;

დაიდგინოს გვარი.

სახელის ან/და გვარის შეცვლის თაობაზე შეუძლია მიმართოს:

სრულწლოვანმა პირმა;

16 წლამდე არასრულწლოვანის კანონიერმა წარმომადგენელმა;

16 წელს მიღწეული პირი ვალდებულია სახელის ან/და გვარის შეცვლის; გვარის დადგენის; გვარის კანონიერად აღიარების მოთხოვნით პირადად მიმართოს სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ სამსახურს ან საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას;

შესაბამისი წარმომადგენლობის უფლების მქონე (მინდობილმა) პირმა, თუ დაინტერესებულ პირს არრ შეუძლია გადაადგილება მძიმე ავადმყოფობის ან ფიზიკური მდგომარეობის გამო, რაც დასტურდება შესაბამისი ცნობით/დოკუმენტით.

გასათვალისწინებელია, რომ გვარის შეცვლის/გვარის დადგენის/გვარის კანონიერად აღიარების შესახებ განცხადება განუხილველად იქნება დატოვებული, თუ, შეტყობინების მიღების მიუხედავად, დაინტერესებული პირი არ გამოცხადდება სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ სამსახურში ზეპირ მოსმენაში მონაწილეობისათვის.

სახელის ან/და გვარის შეცვლის რეგისტრაციისთვის წარმოსადგენი დოკუმენტებია:

განცხადება სახელის ან/და გვარის შეცვლის თაობაზე;

პირადობის დამადასტურებელი საბუთი;

დაბადების მოწმობა;

ქორწინების მოწმობა (ქორწინებაში ყოფნის შემთხვევაში);

არასრულწლოვანი შვილების დაბადების მოწმობები (თუ არასრულწლოვანი შვილები გყავთ);

მშობელთა წერილობითი თანხმობა (თუ 16-დან 18 წლამდე არასრულწლოვანი ხართ);

მეორე მშობლის თანხმობა, თუ სახელს ან/და გვარს იცვლის 16 წლამდე არასრულწლოვანი

არასრულწლოვნის თანხმობა, თუ სახელს ან/და გვარს იცვლის 10 წლის ასაკს მიღწეული პირი

გვარის შეცვლის საფუძვლის დამადასტურებელი დოკუმენტი.

იმ შემთხვევაში, თუ სახელის ან/და გვარის შეცვლის რეგისტრაცია ხორციელდება მინდობილი პირის დახმარებით, დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტებია:

მინდობილობა (დამოწმებული სათანადო წესით);

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ცნობა რომლითაც დასტურდება, რომ დაინტერესებულ პირს მძიმე ავადმყოფობის ან ფიზიკური მდგომარეობის გამო არ შეუძლია გადაადგილება.

სახელის ან/და გვარის შეცვლა ხორციელდება განცხადების წარდგენიდან მე-60 კალენდარულ დღეს.

მომსახურების საფასურია —55 ლარი;

დაუშვებელია სახელის ან/და გვარის შეცვლა დაჩქარებული წესით.

საფასურის გადახდისაგან თავისუფლდებიან:

1.იძულებით გადაადგილებული, დევნილად ცნობილი პირები

2.მომსახურების საფასურის 10% —ით გადახდისაგან თავისუფლდებიან სტუდენტები, რომლებზეც გაცემულია პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობა აღნიშვნით „სტუდენტი“.

პირის სახელის ან/და გვარის შეცვლა, გვარის დადგენა, გვარის კანონიერად აღიარება დაუშვებელია ერთ-ერთი შემდეგი გარემოების არსებობის შემთხვევაში:

თუ ეს პირი დანაშაულის ჩადენაშია ეჭვმიტანილი და იძებნება საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

განხორციელდა დაინტერესებული პირის დეპორტაცია ან რეადმისია საქართველოში და დეპორტაციის/რეადმისიის განხორციელებიდან 5 წელი არ გასულა;

დაინტერესებული პირის წინააღმდეგ მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა, მათ შორის, თუ ეს პირი იძებნება საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების ან საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაციის (ინტერპოლის) მიერ, ამ გარემოების აღმოფხვრამდე.

16 წელს მიღწეული პირის განცხადება სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული სამსახურისთვის ან საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისთვის ან საკონსულო დაწესებულებისთვის დაინტერესებულ პირს უშუალოდ არ წარუდგენია და მასზე არ ვრცელდება კანონით დადგენილი შეღავათი;

* * *

**— ჩემი არასრულწლოვანი შვილიშვილი უნდა გავატანო ახლობელს თურქეთის რესპუბლიკაში თავის მშობლებთან. რა საბუთები დაგვჭირდება?**

— თქვენს არასრულწლოვან შვილიშვილს პირველ რიგში უნდა აუღოთ ბიომეტრიული პასპორტი. ამისათვის საჭიროა მისი ორივე მშობლის თანხმობა. მათ ეს თანხმობა უნდა განაცხადონ ნოტარიუსთან სკაიპის საშუალებით. ეს თანხმობა თარგმნილ უნდა იყოს თურქულ ან ინგლისურ ენებზე. თარგმანი უნდა დადასტურდეს, ასევე, სანოტარო წესით. მშობლებმა, ასევე, თანხმობა უნდა განაცხადონ იმის შესახებ, რომ თქვენი არასრულწლოვანი შვილიშვილის თურქეთში წაყვანას და / თუ საჭიროა, წამოყვანასაც/ ანდობენ ამ ახლობელს. ეს თანხმობაც სკაიპითა და სანოტარო დადასტურებით კეთდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიხვდით ალბათ; თქვენი შვილიშვილის თურქეთში გასაგზავნად გჭირდებათ პასპორტი და მშობლების თანხმობები.

# ამ კოვიდპანდემიის დროს ვინ დაიცავს წესრიგს საქალაქო ტრანსპორტში?

## ღია წერილი თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების ხელმძღვანელობას

ცოტნე დადიანის ქუჩაზე, რკინიგზის გადასასვლელი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდებარეობს თბილისის ზღვის მიმართულებით, ივერთ-უბნისკენ მიმავალი ავტობუსების გაჩერება.

სამუშაო დღეებში, ე.წ. პიკის საათებში — 17 სთ-დან 20 სთ-მდე, ამ გაჩერებიდან მიმავალი ავტობუსები იმდენადაა გადატვირთული, ცოდვა-მადლის განკითხვაა. რა პანდემია, რისი რეგულაციები. ხუთი ავტობუსი რომ იდგეს, წინა ავტობუსში მაინც ისე შემოეტენებიან შეუგნებელი მგზავრები, რომ წესიერ ოჯახში აღზრდილი ქალები და მამაკაცები უხერხულ სიტუაციაში ვარდებიან. ამ მგზავრების უმეტესობა ორ გაჩერებაზე მიდის, ხუთი-ექვსი წუთიც არ უნდათ, რომ დაელოდონ მომდევნო ავტობუსს.

წინა პარასკევს უკვე დაძრული №60 ავტობუსი, რომლის მგზავრები, ძირითადად, თბილისის ზღვის დასახლებაში მცხოვრები დევნილები ვართ, სავსე, გაჭედილი ავტობუსი გააჩერებინეს მძღოლს და 60 წლამდე სამი 120-კგ-იანი მუტრუკი შემოეტენა. ჩემს თხოვნაზე, გაეთვალისწინებინათ სიტუაცია და არ შემოსულიყვნენ, აგდებულად მიპასუხეს, შენ თუ არ მოგწონს, თვითონ ჩადიო. გულშემოყრილი ჩამოვედი. ხმა არ გაუციათ.

ავტობუსიდან ჩამოსული იქვე მდგარ სამარშრუტო ტაქსში ავედი, რომლითაც მახათას მთის გადასახვევამდე ვიმგზავრე და იმ № 60 ავტობუსს იქ დავხვდი. ავტობუსი ნახევრად ცარიელი იყო. ჩემი საწუხარი რომ შევჩივლე, ავტობუსის გამყოლი მონიტორინგის სამსახურის თანამშრომელმა თავი გაიმართლა: მგზავრების რაოდენობის შეზღუდვაზე მითითება არა გვაქვსო.

მგონი, კარგი იქნება, სამუშაო დღეებში, 17 სთ-დან 20 სთ-მდე პატრულმა დაარეგულიროს მგზავრთა რაოდენობა ავტობუსში, რათა, დისკომფორტს რომ თავი დავანებოთ, პანდემიის საშიშროება აღმოიფხვრას.

ამას გარდა, №60 ავტობუსს ისეთი მარშრუტი აქვს, რომ ზღვის პირას მდებარე „ჯინო-ფერედაისთან“, ყოველ დღე, 9 ავტობუსი 10-ჯერ გადის ზედმეტ 180 კმ-ს. თვეში ეს 5 000 კმ-ია. რამდენი საწვავი იხარჯება, გარემო ზიანდება, მგზავრები უკმაყოფილო არიან, ავტობუსების დეტალები და საბურავები ცვდება. მგზავრებისა და მძღოლების მიმართვის მიუხედავად, ამ საკითხის დასარეგულირებლად 2020 წლის დეკემბერში ასეთივე სტატიის გამოქვეყნების მიუხედავად, თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების ხელმძღვანელობა ყურს არ იბერტყავს. ხელფასს და პრემიას კი დაწყნარებული სინდისით იღებენ.



ვისაც ხელეწიფება, ვთხოვთ, ყურადღება მიაქციონ ამ პრობლემას.

პატივისცემით,
**ვლადიმერ ჭანტურიძე,**
პენსიონერი

# ოტო ფონ ბისმარკი – დიპლომატი, რეფორმატორი და მორფინის მოყვარული დუელიანტი



ოტო ფონ ბისმარკი ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან და წინააღმდეგობრივ ფიგურად ითვლება გერმანიის ისტორიაში: დიპლომატი და რეფორმატორი, რომელმაც გააერთიანა გერმანია სამი სისხლისმღვრელი ომის საშუალებით, შემდეგ კი ფაქტობრივად 20 წლის განმავლობაში ქვეყნის ერთპიროვნული მმართველი იყო. ბისმარკი მტკიცე მონარქისტი იყო, თუმცა, ახალგაზრდა იმპერატორმა ის თადარიგში გაისტუმრა, რადგან არ უნდოდა ძლევამოსილი კანცლერის ჩრდილში დარჩენილიყო. მიუხედავად ბობოქარი პოლიტიკური კარიერისა, ოტოსთვის უცხო არ იყო ადამიანური სისუსტეები...

## მორფინი და ღორმუცელობა

„თითოეულმა ადამიანმა ცხოვრების განმავლობაში განსაზღვრული რაოდენობის ღვინო უნდა დალიოს და თამბაქო მოწიოს. მე პრეტენზიას ვაცხადებ 100 ათას ცალ სიგარასა და 5 ათას ბოთლ



შამპანურზე“, — ჩვეულებისამებრ ამბობდა გერმანიის კანცლერი ოტო ფონ ბისმარკი. ის ამტკიცებდა, რომ სიგარები — დღის განმავლობაში ის 15 ცალს ეწეოდა — მას მუშაობაში ეხმარებოდა: ისინი მამშვიდებენ და ცეცხლოვანი ტემპერამენტის მოთოკვაში მეხმარებიან... „თუ მოლაპარაკებების დროს სიგარას ეწევი, გრძნობ, რომ მზად ხარ ორმხრივ დათმობაზე წახვიდე. სწორედ ეს არის დიპლომატის სამუშაო“, — ამტკიცებდა პოლიტიკოსი.

ბისმარკი გურმანი იყო და არც მალავდა, რომ უყვარდა ჭამაც და დალევაც. 1879 წელს ის 124 კგ-ს იწონიდა. წონის მკვეთრმა მატებამ სერიოზული დაავადებები გამოიწვია. მას ჰქონდა რევმატიზმი, ფლებიტი, საჭმლის მონელების მოშლა და უძილობა, რაც ღორმუცელობის შედეგი იყო. ექიმები მკაცრ დიეტას ურჩევდნენ, მაგრამ ჭამას თავს ვერ ანებებდა.

სუპის შემდეგ მას შეეძლო მიერთმია ცხიმიანი კალმახი, კურდღლის სამი მოზრდილი ნაჭერი, ჩაშუშული საქონლის ხორცი და ზედ შესანიშნავი ბურგუნდიული ღვინოც დაეყოლებინა. ჭამის გარდა ოტო მუდმივად მოიხმარდა მორფინს. წონის დაკლება და ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრება მან მხოლოდ 1880-იანი წლებიდან შეძლო ახალი ექიმის — ერნსტ შვენინგერის მეთვალყურეობით. მის გარემოცვაში გამოთვალეს, რომ დიეტების განმავლობაში ბისმარკმა 320 კგ. დაიკლო.

## დუელებსა და ლოთობას შორის

მომავალი მმართველი მდიდარი პრუსიელი მიწათმფლობელის ოჯახში დაიბადა. ის ბავშვობიდან მორჩილებისა და დისციპლინის წინააღმდეგი იყო. სკოლაში სწავლისას ხშირად ჰქონდა კონფლიქტები მასწავლებლებთან, გიოტინგენის უნივერსიტეტში პირველ კურსზე სწავლისას კი ლექციებზე უფრო ხშირად ლუდხანაში შეხვდებოდით.

მან რამდენიმე ათეულ დუელში მიიღო მონაწილეობა. პირველივე დუელში ლოყაზე ჭრილობა მიაყენეს. ოტო ამბობდა, რომ მოწინააღმდეგე უპატიოსნოდ მოიქცა.

ახალგაზრდა ოტო მონარქისტულ შეხედულებებს იზიარებდა, თუმცა იმ დროს ახალგაზრდებს შორის ლიბერალიზმი იყო პოპულარული. ოტო ყველა დუელიდან გამარჯვებული გამოდიოდა და სტუდენტებს შორის უდავო ავტორიტეტით სარგებლობდა.

მას ძალიან იტაცებდა ნადირობა, ცხენოსნობა და ფარიკაობა. ის ბევრს კითხულობდა, მაგრამ არც ნადირობის სეზონს ტოვებდა და არც ქეიფს აკლდებოდა, აგებდა უზარმაზარ თანხებს ბანქოში და მალი-მალ იცვლიდა ქალებს, ისროდა მიზანში, სხვის მამულებში დააჭენებდა ცხენს და გლეხის გოგოებს მოსვენებას არ აძლევდა.

ამოუწურავ ენერგიას მოქმედებისთვის იმაზე დიდი არეალი სჭირდებოდა, ვიდრე ჩვეულებრივ მემამულეს შეიძლებოდა ჰქონოდა და ბისმარკმა დიდ პოლიტიკაში წასვლა გადაწყვიტა. იმ დროს პრუსიაში რევოლუციური განწყობები იყო. ოტო კონსერვატორების პარტიას მიემხრო და დაიწყო პოლიტიკური და დიპლომატიური კარიერის შექმნა.

## რუსული სიყვარული

1850-იანი წლების ბოლოს ბისმარკი პრუსიის დესპანი იყო რუსეთის იმპერიაში. ის მოგვიანებით იხსენებდა, რომ პეტერბურგში ძალიან თბილად შეხვდნენ. ოთხი წლის განმავლობაში მან შეისწავლა რუსული ენა, რომელსაც შემდგომში ხშირად იყენებდა მიმოწერისას.

ბისმარკს განსაკუთრებით მოსწონდა რუსული ნადირობა. მოგვიანებით ის სიამოვნებით უამბობდა მეგობრებს, რომ ორმოცდაათი ნაბიჯიდან მოკლა დათვი და თავის დას პრუსიაში დათვის ბარკალი გაუგზავნა.

რუსეთთან ბისმარკს არა მხოლოდ სამუშაო, არამედ რუსი თავადის ქალის მიმართ სიყვარულიც აკავშირებდა. 1862 წელს 47 წლის ცოლიანმა დიპლომატმა ბიარიცში 22 წლის კატერინა ორლოვა გაიცნო.

ბელგიაში რუსეთის ელჩის ნიკოლაი ორლოვის ცოლი ხშირად ატარებდა დროს მარტოობაში. ყირიმის ომიდან დაბრუნებულ მის ქმარს, მძიმე ჭრილობის შემდეგ არ შეეძლო თან ხლებოდა ქალს სეირნობისა და ბანაობის დროს. ამ სიტუაციით ისარგებლა პრუსიელმა დიპლომატმა. ამის შესახებ ოტომ ცოლსაც უამბო, რომელიც მის ინტრიგებს შეჩვეული იყო.

რუს თავადის ქალთან რომანი მალევე დასრულდა. ბისმარკი და მისი შეყვარებული ლამის ზღვაში დაიხრჩვნენ. ისინი შუქურის ზედამხედველმა გადაარჩინა. ოტომ ეს ცუდის ნიშნად ჩათვალა და იმავე დღეს ცოლს მისწერა. იოჰანასთან დაბრუნების შემდეგ ის მთლიანად პოლიტიკაზე გადაერთო და რამდენიმე ხნის შემდეგ კანცლერი



გახდა. თუმცა კატერინა ორლოვას მიმართ თბილ გრძნობები სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა.

## მუქარითა და ეშმაკობით

პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ბისმარკი უკან არაფერზე იხევდა — მას მოწინააღმდეგეებთან სასტიკ დებატებში საშინელ სალანძღავ სიტყვებს იყენებდა, ხოლო თუ საჭირო იყო, მოლაპარაკებებზე თავი ხაზგასმულად ზრდილობიანად ეჭირა და თავშეკავებულად იქცეოდა. ტერიტორიული დავების გადასაჭრელად მხოლოდ ძალისმიერ მეთოდებს ცნობდა. გერმანიის გაერთიანებისთვის სხვა გზას ვერ ხედავდა გარდა „რკინისა და სისხლისა“.

ოტო საკმაოდ ეშმაკურად მოქმედებდა. მან მოახდინა პრუსიასა და საფრანგეთს შორის ომის პროცოცირება — გააყალბა დეპეშა, რომელიც მისი საშუალებით გაუგზავნა ვილჰელმ I-მა ნაპოლეონ III-ს.

კანცლერმა გზავნილი ისე შეასწორა, რომ მისი შინაარსი საფრანგეთის იმპერატორისთვის შეურაცხმყოფელი გახდა. ამის შემდეგ ბისმარკმა ეს დოკუმენტი, რომელიც საიდუმლოდ მიიჩნეოდა, გერმანიის მოწინავე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოაქვეყნა. საფრანგეთმა პრუსიას ომი გამოუცხადა, რომელშიც დამარცხება განიცადა და ელზასი და ლოტარინგია დაკარგა. საფრანგეთს ამასთანავე დაეკისრა გერმანიის სასარგებლოდ კონტრიბუცია ხუთი მილიარდი ფრანკის ოდენობით.

კანცლერის მძიმე ხასიათი ოჯახშიც ვლინდებოდა — ის თავის ინტერესებს ნათესაურ კავშირებზე წინ აყენებდა. 1881 წელს მისმა ვაჟმა ჰერბერტმა გადაწყვიტა დაქორწინებულიყო განქორწინებულ პრინცესა ელიზაბეტ ცუკაროლატ-ბეიტენზე. ის კათოლიკე იყო, მისი მრავალრიცხოვანი ნათესავები კი ბისმარკის მოწინააღმდეგეები იყვნენ. ბისმარკმა აუკრძალა ვაჟს შეყვარებულზე დაქორწინება — ჯერ მემკვიდრეობა წაართვა, მერე კი თვითმკვლელობით დაემუქრა. ჰერბერტს სხვა



არაფერი დარჩენოდა და მამის ნებას დამორჩილდა.

ამასთან, ბისმარკი თავს მგრძნობიარე და მეოცნებე ადამიანად თვლიდა და მიაჩნდა, რომ მხატვრები, რომლებიც მას პორტრეტებზე „რკინის კანცლერად“ გამოსახავდნენ, ცდებოდნენ. ოტოს სიცოცხლე უყვარდა და მისით ტკბობას განაგრძობდა მაშინაც კი, რაც კანცლერი გახდა, შუადღისას იღვიძებდა და დასაძინებლად დილაადრიან წვებოდა. შინ ყოველთვის ჰყავდა გერმანული დოგის ჯიშის ძაღლები, რომლებიც ძალიან უყვარდა. მსახურებად კი იმათ ირჩევდა, ვინც ძაღლებს მოსწონდათ.

## საწვავი ამოწურულია

ბისმარკი ძალიან იყო გატაცებული პოლიტიკით, მას ძალაუფლება უყვარდა. მაგრამ წლების შემდეგ ეს მას უკვე აწუხებდა. 1872 წელს ის ახლობლებთან წუწუნებდა: „ჩემი საწვავი ამოწურულია. მეტი აღარ შემიძლია“. ბისმარკი სულ უფრო ხშირად მიემგზავრებოდა თავის მამულში და თვეებს პოლიტიკური ეპიცენტრიდან შორს ატარებდა. ამას გადადგომა მოჰყვა. ახალგაზრდა იმპერატორმა არ მოინდომა პოპულარულ კანცლერთან კონკურენცია მის ჩრდილში დარჩენის შიშით. ბისმარკი ფორმალურად ჩამოშორდა საქმეებს, მაგრამ აქტიურად იღებდა მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ საქმიანობაში. ამასთან, ბევრს წერდა.

1894 წელს ბისმარკის მეუღლე გარდაიცვალა. ამან ძალიან მოტეხა ოტო, რასაც ჯანმრთელობის გაუარესება მოჰყვა. 1898 წელს, 83 წლის ასაკში ოტო ფონ ბისმარკი გარდაიცვალა. ის თავის მამულში დაკრძალეს, სადაც სიცოცხლის უკანასკნელი თვეები გაატარა.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
http://www.saertogazeti.ge E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს
„ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99